# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 30 აგვისტო, 2008 წელი.

№ 162 (6020)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



ილია მეორე:

## განსაცდელი ღვთისგან ბოძებულია და იგი სიხარულით შეიცვლება

2

## პარლამენტის დადგენილება „რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ“



2



ირაკლი ალასანია:

## რუსეთის ქმედებებს არავითარი საერთაშორისო-სამართლებრივი გაგრძელება არ ექნება



სალომე ზურაბიშვილი:

დასავლეთს შეუძლია რუსეთი „სხვაგან“ დასაჯოს: სავაჭრო ორგანიზაციაში არ მიიღოს, სოჭის ოლიმპიადაზე უარი თქვას, პოლონეთში ანტსარაკეტო სისტემა ნაჩქარევად განალაგოს, მაგრამ ეს ყველაფერი ვერც რუსეთის გადაწყვეტილებას, ვერც საქართველოს ბედს ვერ შეცვლის.

3



## რუსული სამყარო

რუსული სამყარო საფრთხეს უქმნის როგორც დასავლურ (ევრო-ამერიკულ), ისე აზიურ სამყაროს. რუსული სამყაროს არსებობის ეს წესი, როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, გარკვეულ ეტაპზე საფრთხეს შეუქმნის თვით რუსულ სახელმწიფოებრიობას, რაც აუცილებლად გადაიზრდება სახელმწიფოებრიობის კრიზისში.

5

# ქართველებო, მხარი — მხარს!

ორშაბათს საქართველოს „ცოცხალი ჯაჭვი“ შემოერტყმება






## სააკაშვილის უბედურობა

8

## „ტოჩკა“ ცხინვალიდან თბილისსა და ქუთაისს უმიზნებდა



ვინც პროვოკაციას წამოეგო, პასუხი უნდა აგოს, მათ შორის ყველამ — მეც, ჩემმა შვილებმაც, ახლობლებმაც, მეზობლებმაც... ეს იმიტომ, რომ როცა ხელისუფლება ამ ნაბიჯებს დგამდა, ძალიან ბევრი რამ ცხადი იყო, ჩვენ კი არ გვეყო იმდენი პატრიოტიზმი, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, რომ ამაზე ადეკვატური რეაგირება მოგვეხდინა.

3-4

სულიერება

## ილია მეორე: განსაცდელი ღვთისგან ბოძებულია და იგი სიხარულით შეიცვლება



**– განსაცდელი ღვთისგან ბოძებულია და იგი სიხარულით შეიცვლება, – აღნიშნა 28 აგვისტოს ქადაგებაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.**

**უწმინდესმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოს ძირძველი ტერიტორიებია და რაც უნდა მოხდეს, ისინი მაინც საქართველოს შემადგენლობაში დარჩებიან. პატრიარქმა კურთხევა მისცა მრევლს, წაიკითხონ მოკლე ლოცვა („უფალო დიდება შენდა, დაგვიბრუნე აფხაზეთი და სამაჩაბლო, წყალობითა შენითა, ამინ!„) აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად.**

**– ჩვენ ვცხოვრობთ ძალიან რთულ პერიოდში, მაგრამ არ უნდა შეგვეშინდეს განსაცდელის, რომელიც მოდის საქართველოზე. ქართველი ხალხი ძლიერია სულით და ვერანაირი გარეშე თუ შინა მტერი მას ვერ გასტეხს. მე მინდა, შეგახსენოთ წმიდა მამათა ცხოვრების წესი, როდესაც მამები ხედავდნენ, რომ მათზე განსაცდელი არ იყო, ტირილით შესთხოვდნენ უფალს – ნუ დაგვივიწყე უფალო, მოგვივლინე განსაცდელიო. ასე რომ, ეს განსაცდელიც ჩვენივე ცოდვებისთვის არის. კარგად ჩავიხედოთ თითოეულმა ჩვენს სულსა და გულში და მივხვდებით, რომ ჩვენი ქცევაც არ იყო ყოველთვის სწორი, მაგრამ განსაცდელი ღვთისაგან ბოძებულია და იგი სიხარულით შეიცვლება, – ბრძანა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.**

**პატრიარქმა ასევე მრევლს მისცა კურთხევა 1 სექტემბერს მთელ მსოფლიოსთან ერთად საქართველოს მხარდასაჭერ აქციაში ჩაებას რუსული აგრესიისა და ოკუპაციის წინააღმდეგ.**

**კათოლიკოს-პატრიარქმა ღვთისმშობლის მიძინებასთან დაკავშირებით საზეიმო წირვა-ლოცვა სიონის საპატრიარქო ტაძარში აღავლინა.**

კანონმდებლები

## საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო დადგენილება „რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ“

**28 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო დადგენილება „რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ“. დადგენილების ტექსტზე ინტერფრაქციული ჯგუფი, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის პავლე კუბლაშვილის ხელმძღვანელობით, ორი დღის განმავლობაში მუშაობდა. დადგენილების პროექტის პირველ ვარიანტში 6 პუნქტი იყო გათვალისწინებული, თუმცა სხდომაზე გამოცხადებული შესვენების შემდეგ, უმცირესობის წევრის პაატა დავითაიას მოთხოვნით, მე-7 პუნქტიც დაემატა.**

დადგენილების ტექსტი იწყება იმ ხელშეკრულებების ჩამონათვალით, რომელიც რუსეთმა საქართველოში განხორციელებული აგრესიით დაარღვია. დადგენილებაში ასევე აღწერილია მთლიანად ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები.

დადგენილებით, საქართველოს პარლამენტი რუსეთის სამხედრო ძალის მიერ დაკავებულ ტერიტორებს ოკუპირებულად აცხადებს და რუს სამხედროებს ოკუპანტის სტატუსს ანიჭებს. დადგენილება სულ 7-პუნქტიანია და ის აღსასრულებლად საქართველოს მთავრობას გადაეცემა.

დადგენილების პუნქტები ასეთია: 1 – **რუსეთის შეიარაღებული ძალები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, მათ შორის ე. წ. სამშვიდობო ძალები, გამოცხადდეს საოკუპაციო-საჯარისო შენაერთებად; 2 – ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და ფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა გამოცხადდეს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორებად; 3 – საქართველოს ტერიტორებზე მოქმედი ყველა შეიარაღებული შენაერთი, გარდა საქართველოს კანონმდევლობით განსაზღვრული შენაერთებისა, გამოცხადდეს უკანონო შეიარაღებულ ძალებად; 4 – დაევალოს აღმასრულებელ ხელისუფლებას უზრუნველყოს ყველა იმ სამართლებრივი აქტის გაუქმება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ყოფნას ითვალისწინებს და რომლებიც თავად რუსეთის ფედერაციის ქმედებებით იქნა დელეგიტიმირებული; 5 – საქართველო რჩება 2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის შუამავლობით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმებისა და სხვა ხელშეკრულებებით ნაკისრი ცეცხლის შეწყვეტის ვალდებულებისა; 6 – დაევალოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, გაწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან; 7 – დაევალოს გენპროკურატურას გამოიძიოს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული ეთნოწმენდის ფაქტები.**

*დადგენილება ძალაში შევა გამოქვეყნებისთანავე.*



გაერო

## ირაკლი ალასანია: რუსეთის ქმედებებს არავითარი საერთაშორისო სამართლებრივი გაგრძელება არ ექნება

**რუსეთის ქმედებები საქართველოში უკანონოა და მას არ ექნება არავითარი საერთაშორისო სამართლებრივი გაგრძელება. ამის შესახებ საქართველოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით გამართულ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გაეროში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა.**

უშიშროების საბჭოს სხდომაზე ალასანიამ კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიმდინარე ეტაპზე რუსეთი წარმოადგენს კონფლიქტის მხარეს და რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა მოახდინეს საქართველოს ოკუპაცია.

„რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა მოახდინეს საქართველოს ოკუპაცია, მხარს უჭერენ და ახალისებენ ეთნიკურ წმენდას ქვეყნის ტერიტორიაზე. რუსეთის სამხედრო ძალების უშუალო მონაწილეობით კონფლიქტის ზონიდან იდევნებიან ეთნიკური ქართველები. ადამიანებს უარს ეუბნებიან მათ უფლებაზე, დაუბრუნდნენ საკუთარ საცხოვრებელ სახლებს„ – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ქართველი დიპლომატის განცხადებით, რუსეთის მიერ სეპარატისტული რეგიონების აღიარებას არ გააჩნია არავითარი სამართლებრივი საფუძველი და მისმა ქმედებამ მსოფლიო თანამეგობრობის უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

## უშიშროების საბჭოს წევრები რუსეთის ქმედებებს გმობენ

**გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რომელიც საქართველოში არსებულ ვითარებას მიეძღვნა, აშშ-ის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა და სხვა წევრებმა დაგმეს რუსეთის მიერ სეპარატისტული რეგიონების აღიარების ფაქტი.**

სხდომაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერა.

საფრანგეთის წარმომადგენელმა გაეროს გენერალური მდივნისგან მოითხოვა საქართველოში დამოუკიდებელი კომისიის გაგზავნა, რომელიც ქვეყანაში არსებულ ჰუმანიტარულ ვითარებას შეისწავლის.

უშიშროების საბჭოს წევრებმა კიდევ ერთხელ მოუწოდეს რუსეთს, დაუყონებლივ გაიყვანოს საქართველოდან საკუთარი შეიარაღებული ძალები.



## კვლავ საქართველოში ხელისუფლების შეცვლაზე ოცნებობენ

**გაეროს უშიშროების საბჭოს მორიგ სხდომაზე რუსეთის წარმომადგენელმა გაეროში ვიტალი ჩურკინმა პრეზიდენტ მედვედევის ბრძანებულებები წაიკითხა, რომლითაც აღიარებულია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და დასძინა, რომ ეს ქმედებები მიმართულია ძმური ერების დასაცავად თბილისის აგრესიული და შოვინისტური კურსისგან.**

რუსეთის წარმომადგენელმა გაეროში კიდევ ერთხელ გააჟღერა რუსეთის ხელისუფლების პოზიცია და სურვილი საქართველოში დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების შეცვლასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ რუსეთი ქართველი ხალხის მიმართ განიცდის მეგობრობასა და სიმპათიას და რუსეთი დარწმუნებულია, რომ ადრე თუ გვიან საქართველოს ეყოლება ღირსეული ხელისუფლება, რომელიც იზრუნებს საკუთარ ქვეყანაზე და განავითარებს ურთიერთპატივისცემის, თანაბარ და კეთილმეზობლურ ურთიერთობებს კავკასიის ხალხებთან.

რუსეთი მზად იქნება ყოველმხრივ შეუწყოს აღნიშნულს ხელი, – განაცხადა ჩურკინმა, რითაც ფაქტობრივად გაიმეორა საკუთარი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების ტექსტის ნაწილი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების მოტივების შესახებ.

მან ასევე აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭოს სხდომა ვერ იქნება სრულფასოვანი მასზე აფხაზური და ოსური მხარეების წარმომადგენელთა დასწრების გარეშე და დასძინა, რომ რუსეთს უფრო მეტი საფუძველი ჰქონდა ეღიარებინა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ვიდრე დასავლეთს კოსოვის დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში.

ინფორმაცია

## ამერიკაში პუტინის ბრალდებებზე იცინიან

**აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა უკვე გააკეთა კომენტარი პუტინის განცხადებაზე, რომ „საქართველოს თავდასხმა სამხრეთ ოსეთზე აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდებოდა“.**

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ ბრალდებას სასაცილო უწოდა. ვაშინგტონმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მთლიანი პასუხისმგებლობა კავკასიაში შექმნილ კრიზისზე სწორედ რუსეთს ეკისრება.

აშშ-ში და უმეტეს ევროპულ ქვეყნებში კავკასიაში არსებულ ვითარებას, მოსკოვისგან განსხვავებით, სულ სხვაგვარად აღიქვამენ – რუსეთი აგრესორად მიაჩნიათ, ხოლო საქართველო დაზარალებულ მხარედ, – აცხადებენ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში.

## „ბიჭებო“, დააბრუნეთ „ჰამერები“ თორემ...

**აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ჯეიმს კონუეინმა განაცხადა, რომ პენტაგონი აპირებს რუსეთისგან საქართველოში მოპარული 5 „ჰამერი“ მოითხოვოს.**

ვფიქრობ, ჩვენ რუსებს ანგარიშს წარვუდგენთ და რაღაც ამის მსგავსსაც ვეტყვით: „ბიჭებო“, ან გადაიხადეთ, ან დაგვიბრუნეთ ჩვენი მანქანები, – განაცხადა კონუეინმა.

როგორც წარმომადგენელი იუწყება, „ჰამერების“ ფასი, რომელიც ამერიკელებმა ქართველი სამხედროების ტაქტიკური მომზადების ფარგლებში საქართველოში ჩაიყვანეს, 540 ათას დოლარს შეადგენს.

როგორც სააგენტო „რია ნოვოსტი“ იუწყება, რუსეთის გენშტაბის უფროსის მოადგილემ ანატოლი ნოგოვიცინმა განაცხადა, რომ რუსმა სამხედროებმა მიტაცებულ „ჰამერებში“ ბევრი საინტერესი რამ აღმოაჩინეს და მათი აშშ-სთვის დაბრუნებას არ აპირებენ.

მიმართვა

## საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები გმობენ

**რედაქციამ მიიღო საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესის მიმართვა მსოფლიო საზოგადოებისადმი, რომელსაც ხელს კონგრესის თავმჯდომარე ალი ბაბაევი აწერს. მასში კერძოდ ნათქვამია:**

*ჩვენ, საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელები, გამოვხატავთ აღშფოთებას და პროტესტს იმის გამო, რაც რამდენიმე კვირაა მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ – აგრესიული ომი რუსეთის მხრიდან. არის მრავალი მსხვერპლი, ადგილებიდან აყრილია ათასობით მოქალაქე, დანგრეულია და განადგურებულია სოფლები და ქალაქები.*

*არის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაშლის საფრთხე. მსოფლიო საზოგადოებას მოვუწოდებთ, დაიცვას ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი, ქვეყნის მთლიანობა, დაიცვას მოქალაქეთა უფლებები და დაიწყოს მშვიდობიანი მოლაპარაკებები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.*

მიმართვა მიღებულია კონგრესის მთავარი საბჭოს სხდომაზე 2008 წლის 28 აგვისტოს.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

◎ თვალსაზრისი



*საქართველოს ექს-საგარეო საქმეთა მინისტრი, პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერი **სალომე ზურაბიშვილი** ბოლო დღეების განმავლობაში განვითარებული მოვლენების ანალიზისას „ჯი-ეიჩ-ენთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ მთავარი ახლო მომავალში იქნება დასავლეთისა და აშშ-ის მხარდაჭერა იმ მოლაპარაკებებში, რომლებზეც დამოკიდებული იქნება საქართველოს მთლიანობის გარდა, დამოუკიდებლობა, სუვერენობა და მისი ტერიტორიის უცხო ძალებისგან განთავისუფლება. მისი აზრით, აუცილებელია, საქართველომ არსებული ვითარებიდან გამომდინარე, დიპლომატიური გამარჯვებები მოიპოვოს, რისთვისაც აუცილებელ წინაპირობად ცოდნას, სიფრთხილეს, მოთმინებას და ერთიან სულისკვეთებას ასახელებს და დასძენს, „ქვეყანა უნდა იყოს ერთიანი თავის მომავლის ხედვაში, საქმის ირგვლივ გაერთიანებული. ეს ვერ მოხდება ლოზუნგების დონეზე, თუ არ არსებობს რეალური მზადყოფნა ყველა მხრიდან, რომ ერთად გადავლახოთ ეს ურთულესი ეტაპი“.*

# სალომე ზურაბიშვილი: დიპლომატიით გამარჯვება და ომში წაგებულის ნაწილობრივ მაინც დაბრუნება ცოდნას, მოთმინებასა და ერთიან სულისკვეთებას მოითხოვს

**— რუსეთმა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა აღიარა. როგორ ფიქრობთ, რის მიღწევას ცდილობს რუსეთის, მით უფრო მისთვის ცნობილია, რომ ცივილიზებული სამყარო მას მხარს არ დაუჭერს.**

— რუსეთი იყენებს მაქსიმალურად შექმნილ სიტუაციას. იმის მერე, რაც გაიმარჯვა, არათანაბარ ომში. ძალების შეფარდება მის სასარგებლოდ იყო. რუსეთი ასეთია თავის არსებობის მანძილზე: სადაც გრძნობს სისუტეს, და თავის ძალას, ცდუნებას ვერ უძლებს და თავის თავს ვერ თოკავს.

არსებულ სიტუაციაში რუსეთი არ ელოდება უცხოეთის მხარდაჭერას. როგორც ადრე შექმნა დე ფაქტო სიტუაცია, ახლა რუსეთი ქმნის იურიდიულ დე ფაქტო სიტუაციას.

**— რუსეთის ქმედების საპასუხოდ რა ნაბიჯები უნდა გადადგას საერთაშორისო საზოგადოებამ?**

—საერთაშორისო სამყაროს აქვს ძალიან ლიმიტირებული ბერკეტები, სწორედ იმიტომ რომ ცივილიზებული სამყაროა, რომლისთვისაც ომი არ არის ჩვეულებრივი საგარეო პოლიტიკის ფორმა. მისთვის ომის დაწყება და თავისი მოსახლეობის განწირვა რუსეთის განცხადებების გამო, გამორიცხულია.

რას ველოდოთ? უთუოდ იქნება ბევრი განცხადებები, დაგმობა რუსეთის უაზრო პოლიტიკის და მისი ულიარებლობა. რუსეთის განცხადებებს უარყოფს ამერიკაც და ევროკავშირიც, და იმის დასამტკიცებლად უთუოდ გააძლიერებენ საქართველოს მხარდაჭერას მატერიალურად და პოლიტიკურად. ამ დროს ნათელია, რომ რუსეთი თავის დე ფაქტო პოლიტიკას გააგრძელებს, რადგანც იმის ბერკეტი, რომ აიძულონ და შეაცვლევინონ გადაწყვეტილება, არც არსებობს.

დასავლეთს შეუძლია რუსეთი „სხვაგან“ დასაჯოს: სავაჭრო ორგანიზაციაში არ მიიღოს, სოჭის ოლიმპიადებზე უარი თქვას, პოლონეთში ანტისარაკეტო სისტემა ნაჩქარევად განალაგოს, მაგრამ ეს ყველაფერი ვერც რუსეთის გადაწყვეტილებას, ვერც საქართველოს ბედს ვერ შეცვლის.

მორალურად და პოლიტიკურად შეიძლება ასევე ზოგმა ქვეყანამ აღიაროს წინასწარ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა, ან გამოცხადდეს რომ ნებისმიერი რუსეთის ქვეშევრდომი რესპუბლიკა, რომელიც მოითხოვს დამოუკიდებლობას, მხარდაჭერას და აღიარებას მიიღებს.

მაგრამ ესეც, ჩემი აზრით, ვეღარ შეცვლის იმას, რაც მოხდა. ეს შეგვეძლო აგვეცილებინა თავიდან, და არ უნდა ველოდოთ დღეს, რომ ევროპა ან ამერიკა მომხდარს უკან დააბრუნებს. ეს ხდება სიზმრებში და სიზმარი ჩვენთვის იქცა ტრაგედიად. ეს არ ნიშნავს, რომ დახმარებას არ მივიღებთ ამ ქვეყნებიდან, პირიქით, დახმარებაც იქნება და სიმპატიაც, თანაგრძნობაც და პოლიტიკური მხარდაჭერაც, რათა საქართველო ბოლომდე არ დაიშალოს და არ დაილიოს.

მთავარი ახლო მომავალში იქნება სწორედ ამ ქვეყნების მხარდაჭერა იმ მოლაპარაკებებში, რომლებზეც დამოკიდებული იქნება საქართველოს მთლიანობის გარდა, მისი დამოუკიდებლობა, სუვერენობა და მისი ტერიტორიის უცხო ძალებისგან განთავისუფლება.

**— აღნიშნული გადაწყვეტილება როგორ აისახება თვითონ რუსეთზე, მის პოლიტიკურ იმიჯზე და რამდენად უნდა ველოდოთ კავკასიაში სიტუაციის ესკალაციას?**

— რუსეთმა გვაჩვენა და მსოფლიოს აჩვენა, რომ ამ სიტუაციაში მას იმიჯი ნაკლებად აღარდებს, ვიდრე სიდიადე თავის თავის წინაშე და თავისი მოსახლეობისთვის იმის დამტკიცება, რომ უფრო ძლიერია, რომ ვერავინ ვერ შეურაცხყოფს ისე, რომ არ დაისაჯოს. ამას გადააყოლა რუსეთმა ყველაფერი და ჯერჯერობით უძლებს. არც ეკონომიური ინვესტიციების გადინება ქვეყნიდან, არც ავტორიტეტის შელახვა და ნდობის ფაქტორის გაცამტვერება არ ახდენს მასზე დიდ გავლენას.

სამაგიეროდ, რადგანც ამ გადაწყვეტილებებს ქვეყანაში მოჰყვება დიდი მოწონება, რუსეთმა შეიძლება ისიც ჩათვალოს, რომ კრიზისმა მისი ძალაუფლების სასარგებლოდ ითამაშა. მაშასადამე ჩვენ დიდ იმედებს არ უნდა ვამყარებდეთ იმაზე, რომ რუსეთი ან ისე დაისჯება, ან ისე დაიშლება, რომ ჩვენ სადარდებელი არაფერი გვექნება. ჩვენ ვიმყოფებით დიდი ტრაგედიის და პრობლემების წინაშე და სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ.

**— ამ ვითარებაში, როგორ უნდა მოიქცეს საქართველოს ხელისუფლება?**

— საქართველოს ხელისუფლებას პირველ რიგში ევალება სიტუაციის ზუსტი, უილუზიოდ შეფასება. ძალიან მძიმე სიტუაციაში იმყოფება საქართველო, არა მხოლოდ რუსეთის ბოლო გადაწყვეტილების გამო, არამედ მთლიანად შექმნილი ვითარების გამო.

რაც ეხება ამ აღიარებას, დიდს არაფერს ცვლის ჩვენთვის. სიმართლე თუ გვინდა, ეს უფრო ცვლის გარე მსოფლიოსთვის, რადგანც ამ ძირითადი პრინციპის შესუსტებით მომავალში ბევრი სხვა ქვეყნის ბედი შეიძლება შეიცვალოს. მაგრამ რაც შეეხება საქართველოს, ეს უაღრესად ნეგატიური ნაბიჯი კი არის ჩვენს მიმართ, მაგრამ ეს ნაბიჯი ძირითადად არ ცვლის ჩვენთან არსებულ მდგომარეობას: დე ფაქტო სიტუაცია – ანექსია – რაც არსებობდა ამ დრომდე, გრძელდება და გარე მსოფლიოსგან მაინც რჩება და დარჩება დე ფაქტო და არა დე იურე.

რეალურად ჩვენთვის გაურესებული სიტუაცია გამომდინარეობს არა ამ ბოლო გადაწყვეტილებისაგან, არამედ ორი შეცვლილი სიტუაციიდან, სადაც ჩვენ რეალურად დავკარგეთ პოზიციები. ვგულისხმობ, ერთი მხრივ, იმას, რომ „დე ფაქტო დაკარგულ ტერიტორიებს“ მიემატა რეალურად ჩვენ კონტროლის ქვეშ მყოფი კოდორის ხეობა, ლიახვის ხეობა და ახალგორი; მეორე მხრივ, რომ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზეც იმყოფებიან რუსის ჯარები.

ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სუვერენობა და დამოუკიდებლობა არის დე ფაქტო კითხვის ნიშნის ქვეშ. აქედან ადვილი წარმოსადგენია, თუ რა არის, ჩემი აზრით, ჩვენი ხელისუფლების მთავარი გადასაწყვეტი: საქართველოს დამოუკიდებლობის გაძლიერება რუსის ჯარების გაყვანით და გარანტიების მიღებით, პირველ რიგში საერთაშორისო დამკვირვებლების თანადგომით.

ამიტომ მიმაჩნია, რომ მთავარი აქცენტი კონფლიქტური რეგიონების არარსებული დამოუკიდებლობის აღიარებაზე კი არ უნდა გაკეთდეს, არამედ ყველაფერ დანარჩენზე, რომელიც უნდა დავიბრუნოთ. ამ მიმართულებით უფრო ეფექტიანი დახმარების მიღება შეგვიძლია. ეს ნიშნავს, რომ დღის წესრიგი არ შეცვლილა: მოლაპარაკებები ჩვენს და კავკასიის მომავალზე. ამ დღიდან კავკასიის რეგიონი ყველას მიერ აღიარებული უნდა იქნას, როგორც მშვიდობიანი, და მასზე არავის ექსკლუზიური უფლება საკუთრების სახით არ უნდა გავრცელდეს.

კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ ეს პოლიტიკა, ე. ი. დიპლომატიით გამარჯვება და ომში წაგებულის ნაწილობრივ მაინც დაბრუნება, მოითხოვს დიდ ცოდნას, სიფრთხილეს, მოთმინებას და ერთიან სულისკვეთებას.

ქვეყანა უნდა იყოს ერთიანი თავის მომავლის ხედვაში, საქმის ირგვლივ გაერთიანებული. ეს ვერ მოხდება ლოზუნგების დონეზე, თუ არ არსებობს რეალური მზადყოფნა ყველა მხრიდან, რომ ერთად გადავლახოთ ეს ურთულესი ეტაპი. თუ არ არსებობს ნება იმისი, რომ განაწილდეს მართვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესი და მხოლოდ შემდეგ პასუხისმგებლობა. თუ არ არსებობს მზადყოფნა და გაგება იმისი, რომ თანასწორობა ნდობისა და ერთად ყოფნის საწინდარია. თუ ეს გადანაწილება, გავრცობა და გაზიარება მოხდა, მაშინ შევძლებთ რეალური გადარჩენის გზის პოვნას. ყველაფერი დანარჩენი თავის მოტყუება და ქვეყნის დალუპვაა.

**ესაუბრა**
**ქეთი ხიდიშელი**

◎ კითხული კაცის აზრი

# „ტოჩკა“ ცხინვალიდან თბილისსა და ქუთაისს უმიზნებდა

*მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხთა ექსპერტი **ირაკლი სესიაშვილი** ფიქრობს, რომ ჩვენ რუსეთის თამაში ვითამაშეთ. რუსეთის პროვოკაციებს ქართული მხარე შეგნებულად და გააზრებულად აჰყვა, რაც დიდი შეცდომა იყო.*



## სამწუხაროდ, საქართველო რუსეთის აგრესიის ინდიკატორი გახდა

— ჩემი აზრით, ეს განაპირობა იმან, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ძალიან ბევრი არაპროფესიონალია, რომლებმაც სიტუაციის გაანალიზების შემდეგ ჩათვალეს, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს სამხრეთ ოსეთში კონსტიტუციური წყობილების აღდგენის უნარი შესწევთ. ეს თეორიულად შეიძლება მართებული აქსიომა იყოს, მაგრამ რამდენადაც ჩვენს ხელისუფლებაში არაპროფესიონალები არიან, მათ ვერ განსაზღვრეს პატარა და დიდი სტრატეგია, საფრთხეები, მოწინააღმდეგის სავარაუდო მოქმედებები, და ის, თუ რა ძალა დაუპირისპირდებოდა მათ.

ეს არის არსებითი და ყველაზე დიდი შეცდომა – ომში ჩვენ არ უნდა ჩავრეულიყავით, პროვოკაციას არ უნდა წამოვგებოდით. ვინც პროვოკაციას წამოეგო, პასუხი უნდა აგოს, მათ შორის ყველამ – მეც, ჩემმა შვილებმაც, ახლობლებმაც, მეზობლებმაც... ეს იმიტომ, რომ როცა ხელისუფლება ამ ნაბიჯებს დგამდა, ძალიან ბევრი რამ ცხადი იყო, ჩვენ კი არ გვეყო იმდენი პატრიოტიზმი, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, რომ ამაზე ადეკვატური რეაგირება მოგვეხდინა.

ბუნებრივია, დასავლეთმაც დაუშვა თავისი წილი შეცდომები, მაგრამ შეცდომის დამშვები დასავლეთი იქნება თუ რუსეთი, მე სარგებელს არ მაძლევს. სამწუხაროდ, ჩემი დაშვებული შეცდომა ძალიან ძვირი დამიჯდა: იავარქმნილია ინფრასტრუქტურის ნაწილი, სამხედრო ბაზები, წაღებულია და განადგურებულია შეიარაღება, რომელზეც დაახლოებით 4 მილიარდამდე ლარი თუ დოლარი დაიხარჯა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. რაც მთავარია, ადამიანები დაიღუპნენ, ათიათასობით ლტოლვილი გვყავს, რომელთაც სერიოზული პატრონობა სჭირდებათ... საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის იმიჯი შერყეულია, ეკონომიკამ სერიოზული ზარალი განიცადა. ჩვენ ვართ ისეთ მდგომარეობაში, საიდანაც საკუთარი ძალებით ვერ გამოვალთ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ქმედებით საკუთარ დამოუკიდებლობაზე უარი ვთქვით.

**— ელოდით, რომ მედვედევი აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთს აღიარებდა?**

— დეკემბერში ველოდი, და არა ასე უცებ, ამ მომენტისთვის. ვვარაუდობდი, რომ ახლა მედვედევი მთავრობას დაავალებდა კონკრეტული დეტალების შეთანხმებას დამოუკიდებლობის აღიარებისთვის, თუ დეკემბერში საქართველო მაპს მიიღებდა.

იხ. 4 გვ.

## კითხული კაცის აზრი

# „ტოჩკა“ ცხინვალიდან თბილისსა და ქუთაისს შეიზნემბდა



(მესამე გვერდიდან)

მანამდე კი, აფხაზეთსაც და სამხრეთ ოსეთსაც ასოცირებულ წევრებად, გასვლის უფლებით გააერთიანებდა ფედერაციაშიც. ეს, ჩემი აზრით, რუსეთისთვის საუკეთესო მოდელი იქნებოდა, რამდენადაც იგი ფაქტობრივად არ აღიარებდა მათს დამოუკიდებლობას, რითაც თავიდან აირიდებდა ფედერაციაში შემავალი ეთნიკური ჯგუფების მიერ შესაძლო დამოუკიდებლობის მოთხოვნას. სამაგიეროდ, აფხაზებისა და ოსებისთვის გული რომ არ დაეწყვიტა, მათ ჩაუწერდა, რომ გასვლის უფლება ცალხმრივად ექნებოდათ.

**— რუსეთის სათათბიროს დოკუმენტს რატომ მოაწერა მედვედევმა ხელი დაჩქარებულად?**

— ჩემი აზრით, მედვედევი სრულ აგონიაშია. მართალია, კრემლმა სამხედრო თვალსაზრისით წარმატებას მიაღწია, მაგრამ მათმა პოლიტიკურმა სტრატეგიამ მარცხი განიცადა, რადგან დასავლეთისგან რუსეთთან მიმართებაში ღია დაპირისპირებას არ ელოდნენ. მათ არ ეგონათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთი ერთიანი იქნებოდა და ანტირუსული კოალიცია გაჩნდებოდა. ამას ნამდვილად ვერ წარმოიდგენდნენ. ამიტომ ცხელ გულზე ორი გზიდან ერთი უნდა აერჩია — ან აგრესია შეენელებინა და პოლიტიკური დიალოგი დაეწყო, ან — სიტუაცია კიდევ უფრო გაემწვავებინა. მედვედევს, რომლის ზურგს უკან რეალურად დგას დე ფაქტო პრეზიდენტი პუტინი, ორი არჩევანი ჰქონდა. მან მეორე გზა აირჩია. აგრესიული პოლიტიკით პუტინმა თავის საზოგადოებაში ქულები დაიწერა, საერთაშორისო საზოგადოებაში კი პირიქით — მედვედევმა დაკარგა ქულები. საერთო ჯამში, ამ ჭიდილში პუტინის ფრთამ გაიმარჯვა.

რუსეთს შეეძლო ძალზე ბევრი პოლიტიკური სვლა გაეკეთებინა, რომელიც არც მწვადს დაწვავდა და არც შამფურს, მაგრამ მან ეს არ მოიმოქმედა.

**— რუსეთის ნაბიჯის საპირისპიროდ დასავლეთმა რა უნდა მოიმოქმედოს და ეს საქართველოს რა შედეგს მოუტანს?**

— ჩვენ საქართველოს მოქალაქეები ვართ და გვინდა, რომ დასავლეთი მაქსიმალურად აგრესიული იყოს რუსეთის წინააღმდეგ და ყველა ბერკეტი გამოიყენოს. მაგრამ დასავლეთი არის ძალიან ეგოისტური საზოგადოება, რომელიც ცდილობს უპირველესად საკუთარი ინტერესები დააყენოს წინ, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ცხადია, რომ არავინ აპირებს რუსეთის წინააღმდეგ ომის გაჩაღებას, რადგან ამან შეიძლება მესამე მსოფლიო ომი გამოიწვიოს. რუსეთი ბირთვული იარაღის მფლობელი ქვეყანაა. თუკი ამ შემთხვევაში მედვედევს პოლიტიკურად ტვინი გადაუბრუნდა, შეიძლება მერეც გადაუბრუნდეს და ვთქვათ, ბერლინის წინააღმდეგ ატომური ბომბი გამოიყენოს. ასე რომ, არავინ აპირებს მესამე მსოფლიო ომის დაწყებას.

მაგრამ დასავლეთი ფიქრობს, რომ თანამიმდევრული პოლიტიკური ზემოქმედების მექანიზმებით, ეკონომიკური, სოციალური და სხვა ბერკეტებით შეძლებს რუსეთის აგრესიის შემცირებას და შენელებას. საქართველოში კონფლიქტების ამ ვითარებაში მოგვარება ძალიან ძნელია, მაგრამ დასავლეთი დღეს უკვე ფიქრობს იმ ქვეყნებსა და რეგიონებზე, სადაც ეს კონფლიქტები ჯერ არ წარმოშობილა, მაგრამ რეალური საფრთხე არსებობს.

სამწუხაროდ, საქართველო რუსეთის აგრესიის ინდიკატორი იყო. დასავლეთმა გვიან გააანალიზა სიტუაცია, მასში გვიან გაერკვა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დასავლეთი ყველა ზომას მიიღებს, რათა მსგავსი აგრესია არ განმეორდეს აზერბაიჯანსა და უკრაინაში, მოლდოვაში და აზიის ქვეყნებში. ამიტომ ყველა რესურსი აქეთ წარიმართება.

დღესდღეობით მსოფლიოში სი-ენ-ენ-ის ეფექტი მოქმედებს, ყველანი ამ კადრებს უყურებენ, თუ დღეს საქართველოს თემაა პირველი, ხვალ სხვა თემა იქნება. რამდენად გვექნება იმის გარანტია, რომ დასავლეთი ჩვენთვის ყურს მოიჭრის, ამაში ეჭვი მეპარება. ამიტომ მგონია, რომ ეს კონფლიქტი შეიძლება სამხრეთ და ჩრდილო კორეის კონფლიქტებს დაემსგავსოს.

**— ეთანხმებით თუ არა საზოგადოების ერთი ნაწილის აზრს, რომ აფხაზეთი და ოსეთი ნატოში შესვლაზე გაიცვალა?**

— თუ საქართველო ნატოში შევა, ეს მოხდება იმ ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში, რომელიც გაეროს მიერ არის აღიარებული. ეს, არცთუ მთლიანად, მაგრამ სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის მდგომარეობას ჰგავს. რაგბიში არის ასეთი სიტყვა „ჯახი“, ჩვენთან მუდმივად იქნება „ჯახი“. იმის იმედი, რომ რუსეთს კარგად წაუჭერენ ყელში, პირადად არ მაქვს. ერთადერთი იმედს ვებღაუჭები, რომ რუსეთი წელში გაწყდება, რომ ჩრდილოკავკასიაში სიტუაცია გართულდება, რომ ოდესმე აფხაზები და ოსები მიხვდებიან საკუთარ შეცდომას... და რომ შეიძლება რუსეთში დემოკრატიულ ძალებს ოდესმე რაღაც წარმატება ჰქონდეთ. დაბოლოს, იქნებ საქართველოშიც მოვიდეს ხელისუფლება, რომელიც თანამიმდევრულ სწორ პოლიტიკას დაადგება.

**— ზოგიერთი პოლიტოლოგის აზრით, რუსებს ტერიტორიებზე მეტად ტრანსკავკასიური მაგისტრალის გაკონტროლება სურთ. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— რუსეთს ძალიან ბევრი რამ უნდა, მას უნდა, რომ თბილისის თავზე რუსეთის დროშაც ფრიალებდეს. რა გასაკვირია, რომ ტრანსკავკასიური მაგისტრალის გაკონტროლება სურდეს, მაგრამ იცის, რომ ვერ შეძლებს, რადგან აქ იმხელა ინტერესი აქვს აშშ-ს, ამას არ დაუშვებს. მაგრამ მას უნდა, რომ საქართველოს ტრანზიტული ქვეყნის იმიჯი შეელახოს და ეს მოახერხა კიდეც. მაშინ, როცა ფოთთან რუსის ჯარი დგას, ყველა ერიდება ამ მაგისტრალის გამოყენებას და ალტერნატიულ გზას ეძებს. როდის დაუბრუნდებიან ამ გზას, კაცმა არ იცის.

**— თქვენ თბილისის აღება ახსენეთ. ეს რუსეთის გეგმაში შედიოდა?**

— თუ დავუთმობდით, რატომ არ აიღებდნენ? ორიოდე დღის წინათ, აღარ მახსოვს ვინ, მაგრამ ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა თქვა, რომ არა ქართველი ჯარისკაცების პროფესიონალიზმი და თავდადება, რუსეთი თბილისზე მოდიოდაო. რა ჯარისკაცი, რის ჯარისკაცი? ჯარისკაცმა კი არა, რუსეთი დასავლეთმა შეაჩერა. რუსეთი არ დაზოგავდა არც ცოცხალ ძალას და არც ტყვია-წამალს, თუ ეს მას სურდა. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი დანაკარგები ექნებოდა თბილისში. სხვის დანაკარგებს ნუ ვითვლით! ჩვენ თბილისს დაგვიბუგავდნენ, დაგვიბომბავდნენ. აღარ იარსებებდა საერთაშორისო სამართალი. ღია დაბომბვა, განადგურება, ათასი უბედურება გველოდა. ასეთ სიტუაციაში ჯარისკაცი ვერაფერს შეაჩერებდა...

**— ამას წინათ, ერთმა ჯარისკაცმა ტელევიზიით განაცხადა — საჰაერო ბრძოლაში რომ არ დავმარცხებულიყავით, ცხინვალი ახლა ჩვენი იქნებოდაო... ამ აზრს თქვენც ეთანხმებით?**

— ეს აბსურდია. რუსეთს, მედვედევს და პუტინს ისე მყარად ჰქონდათ გადაწყვეტილი საქართველოს დაპყრობა და წარმატების მიღწევა, ჩვენი წინააღმდეგობის მიუხედავად, ისინი ასჯერ მეტ ძალას გამოიყენებდნენ. ეს მათ სამხედრო-ტაქტიკურ მოქმედებებშიც შეინიშნებოდა.

როდესაც როკის გვირაბიდან რუსების ძალიან დიდი კოლონა ცხინვალისკენ დაიძრა, ჩვენმა არტილერიამ რამდენიმე ჯავშანტექნიკა გაანადგურა. მაგრამ მათ არათუ შეაჩერეს მოძრაობა, ცეცხლმოკიდებულ ჯავშანტრანსპორტიორებს უკნიდან მიაწვნენ, გვერდზე გადაყარეს და გზა განაგრძეს.

ანუ ასეთი ბრძანება ჰქონდათ — წინააღმდეგობისა და დანაკარგების მიუხედავად, უკან არ დაეხიათ.

უფალს მადლობა, რომ როკის გვირაბი ვერ ავაფეთქეთ. ამ გვირაბის აფეთქების შემთხვევაში რუსეთი საზღვაო ქვეითებს ზღვიდან გადმოსხამდა, აფხაზეთიდან ჯავშანტექნიკა შემოვიდოდა (ის რკინიგზა ტყუილად კი არ გააკეთესძ, მთელ დასავლეთ საქართველოს გამოივლიდნენ, გადაბუგავდნენ... თუ როკის გვირაბს ავაფეთქებდით, მთელს დასავლეთს წაგვართმევდნენ. ხოლო სომხეთიდან, გიუმრიდან, სადაც რუსული სამხედრო ბაზაა, პარალელურად ჰაერიდან დაარტყამდნენ თბილისს.

ამის გარდა, ოფიციალურად ცნობილია, რომ მან ჩვენს ტერიტორიაზე შემოიყვანა „ტოჩკა“-სტრატეგიული სარაკეტო სისტემა, რომელიც 120 კილომეტრის რადიუსით მოქმედებს და 500-კილოგრამიან ბომბებს ისვრის. ცხინვალიდან თბილისსაც და ქუთაისსაც თავისუფლად დაარტყამდა. მერწმუნეთ, ამისთვის არც ტყვია-წამალს და არც ცოცხალს ძალას არ დაზოგავდნენ...

**— დაბოლოს, იქნებ განვიმარტოთ, მართებულად ეფუძნება თუ არა მედვედევის განცხადება ჰელსინკის აქტს?**

— მედვედევის განცხადება ჰელსინკის აქტს და გაეროს წესდებას ერთგვარად ეფუძნება. ამ დოკუმენტში დაახლოებით ასეთი ფორმულირებაა — ყველა ერს აქვს თვითგამორკვევის უფლება. თავის დროზე, ეს ცნება იმის გათვალისწინებით დამკვიდრდა, რომ დედამიწაზე ძალიან ბევრი კოლონია არსებობდა და მათ მფლობელებს — საფრანგეთს, ესპანეთს, დანიას, ინგლისს კოლონიებისთვის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის მიცემის შესაძლებლობა ეძლეოდათ.

ამ აქტის შემდეგ, ფაქტობრივად, დაიწყო დეკოლონიზაცია და ალჟირს, სხვა ქვეყნებს სახელმწიფოებრიობა მისცეს. მაშინ საბჭოთა კავშირი ამ პროცესს სასტიკად ეწინააღმდეგებოდა, რადგან ფიქრობდა, რომ ამას შეიძლება იგი დაეშალა.

საერთო ჯამში, საბჭოთა კავშირი ამ აქტს დათანხმდა, რადგან მის კონსტიტუციაში ჩაწერილი იყო, რომ დამოუკიდებელ რესპუბლიკებს (და არა ფედერაციულ ერთეულებსძ გასვლის უფლება ჰქონდათ.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაშინ დასავლეთმა თავისი გაიტანა — ამ აქტის შემდეგ, ეროვნული მოძრაობები უფრო გააქტიურდა საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც შეიქმნა ჰელსინკის ჯგუფი.

რუსეთს ამ დოკუმენტის გამოყენების უფლება არა აქვს, რადგან გაეროს წესდებით საქართველოს ტერიტორია თავის ტერიტორიულ ფარგლებში აღიარებულია, შემდგარი ქვეყანაა, და არა კოლონია. მან ტერიტორიები დაკარგა გენოციდისა და ანექსიის პირობებში, სხვა სახელმწიფოს დაპყრობის შედეგად.

ახლა ჩვენ ისეთ პირობებში ვიმყოფებით, რომ გაცილებით მეტი უფლებები გვაქვს, მოვითხოვოთ ჩვენი ტერიტორიების აღდგენა, ვიდრე აფხაზებსა და ოსებს შეუძლიათ დამოუკიდებლობა მოითხოვონ.

ფაქტობრივად, რუსეთმა ძალით წაგვართვა ტერიტორიები და ჩვენი ხალხი იქიდან გამოდევნეს. ბაღაფში და კოკოითი არიან საერთაშორისო სისხლის სამართლის დამნაშავენი. მათ პასუხი უნდა აგონ ისე, როგორც აგეს პასუხი მილოშევიჩმა და სხვებმა.

ისინი რუსეთის გენერალიტეტთან ერთად ტერორისტები არიან. ამ გენერალიტეტის წინააღმდეგაც უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. მათ მოაწყეს ტერორისტული აქტები, ააფეთქეს ხიდები, დაგვინაღმეს სამოქალაქო ობიექტები.

ახლა მოდუნება არ შეიძლება. ყველა სამართლებრივი ნორმა უნდა გამოვიყენოთ, პატარ-პატარა აგურები უნდა დავალაგოთ, და რაღაცას მივაღწევთ. მოდუნებით კი მივიღებთ იმას, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ბაღაფში და კოკოითი გაეროს ტრიბუნაზეც ვიხილოთ. მათ უნდა იცოდნენ, რომ საკმარისია, ფეხი გადგან რუსეთის ტერიტორიიდან, დააპატიმრებენ. ინტერპოლი გამოაცხადებს მათზე ძებნას, მათ შორის რუსეთშიც. რუსეთის ინტერპოლი ვალდებული იქნება, ისინი დააპატიმროს, რადგან ის ექვემდებარება არა რუსეთს, არამედ საერთაშორისო ინტერპოლს.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

## ინფორმაცია

### საქართველოსთვის მიყენებულმა ზარალმა მილიარდი დოლარი შეადგინა

**რუსეთის აგრესიის შედეგად საქართველოსთვის მიყენებულმა ზარალმა 1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგენა. ამის შესახებ განცხადება პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ გურგენიძემ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე რუბენ ჯეფრი მესამესთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.**

**პრემიერის თქმით, მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკონომიკა გააგრძელებს მზარდი განვითარების ტემპს. გურგენიძე აცხადებს, რომ ჯერ კიდევ 11 აგვისტოდან დაიწყო დიალოგი საქართველოსა და ამერიკის მთავრობებს შორის ეკონომიკური დახმარების შესახებ. მისი თქმით, ანალოგიური საუბრები მიმდინარეობს ასევე ევროპელ პარტნიორებთანაც.**

ჯი-ეიჩ-ენი

გუშინ, დღეს...

# რუსული სამყარო

## ისტორია. თანამედროვეობა. პერსპექტივა



რუსული სახელმწიფოებრიობა სათავეს IX საუკუნიდან იღებს. ამ პერიოდისათვის თორმეტი სლავური ტომი (პოლიანები, დრევლიანები, დრეგოვიჩები, ტივერელები, ულიჩები, ილმენელები, ვიატიჩები და სხვ.) მდინარეების: დნეპრის, დნესტრის, სამხრეთ ბუგის, პრიპიატის, ვოლხოვის აუზში სახლობდნენ. **უზარმაზარ სივრცეზე განსახლებულ სლავებს სახელმწიფოებრიობის ნიშანწყალი არ ეტყობოდათ.** დიდი სივრცე ერთი ტომის მიერ მეორე ტომის ტერიტორიის დაპყრობის აუცილებლობას გამორიცხავდა. მიწათმოქმედებით, მესაქონლეობითა და მონადირეობით დაკავებულ სლავებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, თუ რამდენი იყვნენ, რა ტერიტორია ეკავათ და რა ხდებოდა გარე სამყაროში ( ბიზანტიის იმპერია, დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები). IX საუკუნისათვის თორმეტი სლავური ტომიდან არც ერთი არ სახლობდა დნეპრის ქვემო წელზე (შავი ზღვის სანაპიროზე, ყირიმის ნახევარკუნძულზე), მდინარე დონის აუზში და აზოვისპირეთში, მდინარე ვოლგის შუა და ქვემო წელზე, ბალტიის ზღვის სანაპიროებზე.

სლავები სახელმწიფოებრივი ცხოვრებისთვის გამოაღვიძეს სკანდინავიის ნახევარკუნძულიდან მოსულმა **ნორმანებმა (ვიკინგებმა),** რომელსაც რუსული მატიანე **ვარიაგებს** უწოდებს. სწორედ, ვიკინგთა ბელადებმა დაუდეს სათავე რუსულ სახელმწიფოებრიობას.

IX საუკუნეში ნორმანებმა აქტიურად დაიწყეს **დნეპრის სანაოსნო გზის** გამოყენება. ისინი ბალტიის ზღვიდან მდინარეებისა და ტბების საშუალებით მდინარე დნეპრის ზემო წელამდე მიდიოდნენ, საიდანაც შავ ზღვამდე აღწევდნენ და ბიზანტიის იმპერიას ძარცვავდნენ. ნორმანები სანაოსნო გზას ლაშქრობებისათვის აქტიურად იყენებდნენ. ამავე გზით მიჰქონდათ ნადავლი სამშობლოში. ყოველივე ამან წარმოშვა დნეპრის სანაოსნო გზის დაცვის აუცილებლობა — **სტაბილური სივრცის** შექმნა. ასე გაჩნდა დნეპრის ორივე ნაპირზე სიმაგრეები (გრადები), მომავალი ქალაქები. ერთ-ერთი ასეთი სიმაგრის ადგილზე აღმოცენდა ქალაქი **კიევი.** ნორმანები განსაკუთრებით ამაგრებდნენ მდინარე **ვოლხოვის** აუზს, **ლადოგისა** და **ილმენის** ტბების გარშემო მდებარე ტერიტორიას. აქ IX საუკუნის მეორე ნახევარში ვიკინგმა ბელადმა **რიურიკმა** და მისმა ძმებმა **სინეუსმა** და **ტრუვორმა** დააარსეს ქალაქები: **ნოვგოროდი, ლადოგა** და **იზბორსკი.** მოგვიანებით, 882 წელს ვიკინგმა ბელადმა **ოლეგმა** ნოვგოროდიდან კიევზე ილაშქრა, კიევი აიღო და მდინარე დნეპრის სანაოსნო გზაზე თავისი კონტროლი დააწესა. დნეპრის ნაპირებზე არსებულ ქალაქებში ასევე ვიკინგი ბელადები იდგნენ თავიანთი ჯარით. ისინი ოლეგს დაემორჩილნენ. ოლეგმა თავის რეზიდენციად კიევი აქცია. ნორმანების მიერ დაარსებულ სახელმწიფოს მატიანე **კიევის რუსეთს** უწოდებს.

კიევის რუსეთის პირველი ვიკინგი მთავრები **ოლეგი** (882-912), **იგორი** (912-945) **და სვიატოსლავი** (945-978) გამუდმებულ ლაშქრობებს აწყობდნენ ბიზანტიის წინააღმდეგ, ძარცვავდნენ ბიზანტიის სამფლობელოებს **ბალკანეთზე.** კიევის რუსეთის მთავარს სურდა თავისი სამთავროს ცენტრი დუნაისპირეთში გადაეტანა. აქედან უფრო მოხერხებული იქნებოდა ბიზანტიის იმპერიისა და სხვა ქვეყნების ტერიტორიების ძარცვა. კიევის რუსეთის ვიკინგი მთავრების მიერ ორგანიზებულ ლაშქრობებში სულ უფრო დიდი რაოდენობით მონაწილეობდნენ სლავები.

კიევის რუსეთის სახელმწიფო ხაზინის ძირითად შემოსავალს ლაშქრობების დროს მოპოვებული ნადავლი შეადგენდა. ნორმანი მთავრები რუსებისგან მხოლოდ სამხედრო ძალის ორგანიზებას ცდილობდნენ. სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარებას ისინი ყურადღებას არ აქცევდნენ, არც სლავებისათვის ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა) აინტერესებდათ. ამიტომ იყო, რომ **კიევის რუსეთი წარმოადგენდა სახელმწიფოს, რომელსაც არმია არჩენდა.** ცენტრალური ხელისუფლების მოსახლეობასთან ურთიერთობა მხოლოდ გადასახადის (ხარკის) აკრეფით შემოიფარგლებოდა.

კიევის რუსეთის სახელმწიფოს ხასიათი არც შემდეგი მთავრების, კერძოდ კი უკვე ევროპაში ცნობილი პირველი ქრისტიანი მთავრის **ვლადიმირისა** (980-1015) და **იაროსლავ ბრძენის** (1019-1054) დროს შეცვლილა. განუვითარებელი სახელმწიფოებრიობის პირობებში ნადავლის მოპოვების მიზნით დაუსრულებელი ლაშქრობები ისევ გრძელდებოდა. ბიზანტიასთან ომები არც რუსეთის გაქრისტიანების შემდეგ შეწყვეტილა. კიევის რუსეთში სახელმწიფოებრიობის განვითარებაზე უარყოფითი გავლენა იქონია მომთაბარე ხალხებთან **პაჭანიკებთან** (X-XI სს) და **ყივჩაღებთან** (XI-XIII სს.) ხანგრძლივმა ურთიერთობამ (ომებმა). იყო მომთაბარე ხალხებთან სლავების სისხლის აღრევის ფაქტები.

XI საუკუნის მეორე ნახევრიდან კიევის რუსეთის ვიკინგი მთავრები სამშობლოსთან მჭიდრო ურთიერთობას წყვეტენ. სკანდინავიის ნახევარკუნძულიდან ნორმანთა ახალი ტალღის შემოსვლა აღარ შეინიშნება. მართალია კიევის რუსეთის მთავრის ტახტს კვლავ რიურიკის შთამომავლები ინარჩუნებენ, ქვეყნის შიგნით ყველა დიდი ქალაქს ასევე კვლავ რიურიკის შთამომავალი უფლისწული მთავრები განაგებენ, მაგრამ ნორმანების პოზიციები მაინც შეირყა. დნეპრის სანაოსნო გზამ მნიშვნელობა დაკარგა, მეზობელი ხალხების ძარცვით მიღებულმა შემოსავალმა იკლო, ხაზინა დაცარიელდა. სუსტად განვითარებულმა სახელმწიფოებრიობამ კვდომა დაიწყო, ერთიანი ეკონომიკური ორგანიზმის არარსებობის პირობებში კიევის დიდი მთავრის ხელისუფლება დასუსტდა და XII საუკუნის შუა ხანებისათვის კიევის რუსეთი მრავალ სამთავროდ დაიშალა.

XIII საუკუნის შუა ხანებიდან კიევის რუსეთის უზარმაზარი ტერიტორია **მონღოლების, ლიტველების, პოლონელების, შვედებისა** და **გერმანელების** აგრესიის ობიექტი გახდა. კიევის რუსეთს განსაკუთრებით ძლიერი დარტყმა მონღოლებმა მიაყენეს. 1240 წელს მონღოლებმა კიევი აიღეს, ხოლო 1242 წელს ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი (მდინარეების დნესტრისა და სამხრეთ ბუგის აუზები) დალაშქრეს. დნეპრის შუა წელი, დნესტრისა და სამხრეთ ბუგის აუზები ისე გაპერანდა, რომ იქ სახელმწიფოებრიობის აღორძინება აღარ შეიძლებოდა. კიევის რუსეთი ისტორიის კუთვნილება გახდა.

რუსული სახელმწიფოებრიობა აღორძინებას იწყებს XIV საუკუნიდან. ახალი რუსული სახელმწიფო ყალიბდება მდინარეების: **კლიაზმის, მოსკოვისა და პეჩორის** აუზებში, მდინარე **ვოლგის** ზემო წელზე. ამ რეგიონში მდებარეობდა ქალაქები: **ვლადიმირი, სუზდალი, რიაზანი, კოლომნა**. ამ ტერიტორიაზე კიევის რუსეთის დაშლის შემდეგ XII საუკუნეში ჩამოყალიბდა **ვლადიმირ-სუზდალის სამთავრო**. აქვე აღმოცენდა ქალაქი **მოსკოვი,** რომელიც მოგვიანებით ახალი რუსული სახელმწიფოს ცენტრად იქცა და, დედაქალაქის სახელწოდების მიხედვით, სახელმწიფოსაც **მოსკოვის რუსეთი** ?წოდა. მოსკოვის რუსეთის მთავრები კიევის რუსეთის მთავრების პირდაპირი შთამომავლები იყვნენ, ანუ მოსკოვის რუსეთში გაგრ????? რიურიკების ნორმალური დინასტია. ამ დინასტიის ფუძემდებლად შეიძლება ჩაითვალოს კიევის დიდი მთავრის **იური დოლგორუკის** ვაჟი **ანდრეი ბოგოლიუბსკი** (1157-1174).

მოსკოვის რუსეთის ჩამოყალიბების პერიოდი (XIV-XV სს.) დაემთხვა რუსეთ?ი მონღოლთა ბატონობის პერიოდს, უფრო ზუსტად, **მოსკოვის რუსეთი ყალიბდებოდა მონღოლ? ბატონობის პირობებში.** მონღოლებმა რუსეთის ეს რეგიონები დაიპყრეს და საფუძვლიანად გაძარცვეს XIII საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში (1237 წელს მონღოლებმა ქ. რიაზანი აიღეს, ხოლო 1238 წელს — ქ. ვლადიმირი).

კიევის რუსეთი იყო სახელმწიფო, სადაც **ნორმანულ-ვიკინგური** სული ბატონობდა. მოსკოვის რუსეთი იყო სახელმწიფო, სადაც **მონღოლური** სული გაბატონდა. მოსკოვის რუსეთის დიდი მთავრები (შემდგომში მეფეები) ტიპური აზიელი ტირანები იყვნენ და არაფრით გამოირჩეოდნენ მონღოლი ყაენებისგან. მონღოლურმა წეს-ჩვეულებებმა დამკვიდრება იწყო რუსეთში, განსაკუთრებით ფეოდალურ არისტოკრატიაში. მოსკოვის გარშემო რუსული მიწების გაერთიანების პროცესში აქტიურად ერეოდნენ მონღოლი ყაენები, პრაქტიკულად მათზე იყო დამოკიდებული მოსკოვის მთავრის მიერ სხვა სამთავროების შემოერთება. მოსკოვის რუსეთის ხასიათი არ შეცვლილა მონღოლთა ბატონობიდან განთავისუფლების (1480 წ.) შემდეგაც.

განუვითარებელი სახელმწიფოებრიობის პირობებში მონღოლთა შემოსავლის ერთადერთ წყაროს ლაშქრობების დროს მოპოვებული ნადავლი და დაპყრობილი ხალხებისა და სახელმწიფოებისაგან აკრეფილი ხარკი შეადგენდა. სახელმწიფოს არსებობის ასეთი წესი ძლიერი არმიის ორგანიზებასა და მუდმივ ომებს ითხოვდა. **სახელმწიფოს არსებობის მონღოლური წესი ზედმიწევნით ზუსტად გადმოიღეს მოსკოვის რუსეთის დიდმა მთავრებმა (მეფეებმა).** ისინი სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარებაზე დიდად არ ზრუნავდნენ, გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობდნენ არმიის გაძლიერებასა და მეზობელი ხალხებისა და სახელმწიფოების დაპყრობას. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ნათლად გამომჟღავნდა **ივანე IV მრისხანის** (1533-1584) მმართველობის წლებში. ივანე მრისხანე ცდილობდა თავისი სახელმწიფოს საზღვრებში მოექცია **ვოლგისპირეთი** (ყაზანისა და ასტრახანის მონღოლური სახანოები), **ბალტიისპირეთი** (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი), **დასავლეთი ციმბირი** (ციმბირის მონღოლური სახანო) და **ჩრდილოეთ კავკასიის** ნაწილი (ყაბარდო, ჩერქეზეთი). ამ პერიოდისთვის მონღოლური ტიპის სახელმწიფოების არსებობის დრო დასრულებული იყო. ევროპის ქვეყნებმა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის განვითარებით, არმიის სიძლიერით რუსეთს ბევრად გაუსწრეს. **რუსეთი განწირული ჩანდა**. XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დამდეგს რუსეთმა შინაგან კრიზისსა და ევროპის ქვეყნების (პოლონეთის, შვედეთის) შემოტევას ვეღარ გაუძლო და ლამის არსებობა შეწყვიტა. რუსეთის ისტორიის მონღოლური პერიოდი **პეტრე I-ის** (1696-1725) გამეფებით დასრულდა.

**პეტრე I-მა რუსული სახელმწიფოებრიობა დაამკვიდრა ამ სიტყვის ფართო გაგებით.** განხორციელდა სახელმწიფო ხელისუფლების რეორგანიზაცია, მოწესრიგდა ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, მკაცრად განისაზღვრა ყველა სახელმწიფო უწყების კომპეტენცია, დაკანონდა სახელმწიფო მოხელეთა შერჩევის კრიტერიუმები, მოწესრიგდა საგადასახადო სისტემა და სახელმწიფო ხაზინა უმკაცრეს კონტროლს დაექვემდებარა, შეიქმნა ძლიერი არმია და სამხედრო ფლოტი, დიდი ყურადღება მიექცა განათლებისა და მეცნიერების განვითარებას. **რუსეთი აზიური სამყაროდან ევროპული სამყაროსკენ დაიძრა, მაგრამ რუსეთის ევროპიზაცია ვერ შედგა.**

პეტრე I-ის დროს დაწყებული რეფორმები მეტნაკლები ინტენსივობით გაგრძელდა მისი მემკვიდრეების დროს, ხოლო ახალი შინაარსი შეიძინა **ეკატერინე II-ის** (1762-1796) მეფობის პერიოდში. **XVIII საუკუნეში ცხადი გახდა, რომ უკვე კარგად ცნობილ აზიურ და ევროპულ სამყაროს შორის ჩამოყალიბდა ახალი სამყარო — რუსული სამყარო.** ეს სამყარო დიდი ხნის მანძილზე ყალიბდებოდა და მან რუსულ სამყაროდ გადაქცევამდე ორი პერიოდი გაიარა: **ნორმანულ-ვიკინგური** ((IX-XII სს.) და **მონღოლური** (XII-XVII სს). თავისთავად რუსული სამყარო სამი საწყისისგან შედგებოდა: **ნორმანულ-ვიკინგური, მონღოლური და ევროპული.** XVIII საუკუნეში ეს სამი საწყისი გამუდმებით იბრძოდა რუსულ სულში. რუსული სამყარო არ ეკუთვნოდა არც აზიურ და არც ევროპულ სამყაროს, თუმცა ერთნაირად საშიში იყო როგორც აზიური, ისე ევროპული სამყაროსთვის. პეტრე I-ის მეფობის პერიოდში, რუსეთმა **ბალტიისპირეთი** დაიპყრო; ელისაბედ I-ის (1741-1761) მეფობის პერიოდში შვიდწლიანი ომის დროს (1765-1763 წწ.) პრუსიის არმია გაანადგურა და **ბერლინიც** დაიკავა; ეკატერინე II-ის (1762-1796) მეფობის პერიოდში **პოლონეთის** სახელმწიფო მოსპო და სამი დანაწილების შემდეგ (1795 წლისათვის) მისი უდიდესი ნაწილი დაისაკუთრა. რუსეთი, **უკრაინაში** გაბატონების შემდეგ, **ბალკანეთიდან** ოსმალეთის განდევნას ცდილობდა და სერიოზული წარმატებაც მოიპოვა; **ყაზახეთი** დაიპყრო და შუა აზიის დაპყრობისათვის ემზადებოდა. რუსეთის პოლიტიკური ელიტა **ინდოეთიდან** ინგლისის გაძევებაზე ოცნებობდა. მიუხედავად რუსულ სახელმწიფოში სამი საწყისის ბრძოლისა, XIX საუკუნე მაინც **ევროპული საწყისის** უპირატესობის დამადასტურებელი იყო. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთი საფრთხეს არ წარმოადგენდა როგორც **აზიური,** ისევე **ევროპული** სამყაროსთვის. ეს საფრთხე მუდმივად არსებობდა. აზიური და ევროპული სამყარო თავს იცავდა რუსული აგრესიისაგან. ახალი ტერიტორიის შეერთებები, მეზობელი სახელმწიფოებისა და ხალხების დაპყრობა კვლავ რუსეთის სახელმწიფოს არსებობის წესად რჩებოდა. XIX საუკუნეში დაიპყრო რუსეთმა **სამხრეთ კავკასია** (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი), **ჩრდილო კავკასია** (ჩეჩნეთი, ინგუშეთი, დაღესტანი, ყაბარდო, ბალყარეთი, ჩერქეზეთი), **შუა აზია** (ბუხარა, ხივა, ყოყანდი), **აღმოსავლეთ ციმბირი** და სხვა ტერიტორია. რუსეთი აქტიურად ერეოდა ნაპოლეონისშემდგომი ევროპის შინაურ საქმეებში.

1917 წლიდან ბოლშევიკებმა ჯერ საბჭოთა რუსეთის (1917-1922 წწ.), ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის (1922-1991 წწ.) სახით **რუსულ სახელმწიფოში მონღოლური სული აალორძინეს.** რუსულმა სამყარომ პროგრესის გზაზე უკანსვლა დაიწყო. დასავლურ (ევრო-ამერიკულ) და აზიურ სამყაროს შორის მოქცეული მონსტრი ორივე სამყაროს გადასაყლაპავად ემზადებოდა. **საბჭოთა იმპერიის (საბჭოთა რუსეთის, საბჭოთა კავშირის) არსებობის პერიოდში (1917-1991 წწ.) რუსული სამყარო მუდმივ კონფრონტაციაში იყო დასავლურ (ევრო-ამერიკულ) და აზიურ სამყაროსთან.** ეს კონფრონტაცია რუსული სამყაროს კრიზისითა და სახელმწიფოებრიობის ნგრევით დასრულდა. რუსულმა სახელმწიფომ 1917-1991 წლებში, შეიძლება ითქვას, ვერ გადაჭრა ვერც ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ხასიათის პრობლემა. ამავე დროს, გამუდმებით ცდილობდა ევროპასა და აზიაში პოზიციების გამაგრებას. ყველაფერი ეს ითხოვდა უზარმაზარი არმიისა და სამხედრო ფლოტის შენახვას. პოლიტიკური ელიტა იმდენად დაჩლუნგდა, რომ აშკარად გამოკვეთილი სახელმწიფოებრიობის კრიზისის პირობებში უაზრო ომი წამოიწყო **ავღანეთში**, რომელიც დიდხანს (1979-1989 წწ.) გაგრძელდა და გააჩანაგა ქვეყნის ისედაც დასუსტებული ეკონომიკა. ეს იყო **ნორმანულ-ვიკინგური** და **მონღოლური** საწყისების გამარჯვება **ევროპულ** საწყისზე.

თანამედროვე რუსეთის ფედერაცია გულმოდგინედ აგრძელებს სამსაუკუნოვან ტრადიციას. იგი რჩება **რუსულ სამყაროდ** დასავლურ (ევრო-ამერიკულ) და აზიურ სამყაროს შორის. რუსეთის ევრო-ამერიკულ სივრცეში ინტეგრაცია უპერსპექტივოა, რადგან ეს ნიშნავს სამსაუკუნოვანი რუსული სამყაროს ტრადიციების ლიკვიდაციას. ასეთი ნაბიჯის გადადგმას თანამედროვე რუსეთის პოლიტიკური ელიტა არ აპირებს. ევროსაბჭოსთან, ევროკავშირთან, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან მჭიდრო პარტნიორულ ურთიერთობას რუსეთს ურჩევნია დასავლურ (ევრო-ამერიკულ) და აზიურ სამყაროებს შორის არსებობდეს როგორც **მუდმივი საფრთხე**, როგორც მეზობელი სახელმწიფოების ხარჯზე გავლენის სფეროს გაფართოების მისწრაფება.

რუსული სამყარო საფრთხეს უქმნის, როგორც დასავლურ (ევრო-ამერიკულ), ისევე აზიურ სამყაროს. რუსული სამყაროს არსებობის ეს წესი, როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, გარკვეულ ეტაპზე საფრთხეს შეუქმნის თვით რუსულ სახელმწიფოებრიობას, რაც აუცილებლად გადაიზრდება სახელმწიფოებრიობის კრიზისში.

რუსეთმა თავის თავს უნდა დაუსვას კითხვა: **შეძლებს კი ყოველთვის იარსებოს როგორც დასავლური (ევრო-ამერიკული), ისევე აზიური სამყაროს მუდმივმა საფრთხემ? შეძლებს კი რუსეთი კვლავ აალორძინოს დანგრეული სახელმწიფოებრიობა?**

**ვახტანგ გურული,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**

◎ პოზიცია



***რა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ფინანსურ ბერკეტებს აამოქმედებს, საქართველოს მიმართ განხორციელებული საომარი მოქმედებების გამო ევროკავშირი რუსეთის წინააღმდეგ — ამის შესახებ ესაუბრა „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტს ეკონომიკის საკითხებში დემურ გიორხელიძეს.***

# დემურ გიორხელიძე: იმის იმედი, რომ ევროკავშირი რუსეთს სერიოზულ ეკონომიკურ სანქციებს დაუწესებს, გადაჭარბებულია

**— ბატონო დემურ, ქართული პოლიტიკური წრეები დიდ იმედებს ამყარებენ 1 სექტემბრისთვის დაგეგმილ ევროკავშირის სამიტზე, რომელზეც იგეგმება საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის საპასუხოდ მოსკოვისთვის პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური ბერკეტების ამოქმედება. თქვენი აზრით, რა სახის ეკონომიკურ და ფინანსურ ბერკეტებზე შეიძლება იყოს საუბარი და აღმოჩნდება კი ეს საკმარისი იმისათვის, რომ რუსეთი იძულებული გახდეს საქართველოს საკითხში ანგარიში გაუწიოს ცივილიზებულ სამყაროს?**

— პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ეკა ტყეშელაშვილის გამოსვლამ ევროპარლამენტის კომისიაზე ისეთი ეფექტი ვერ მოახდინა და „სოციალისტებმა“ და „მწვანეებმა“ საერთოდ დაბლოკეს საკითხი, ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მიმართ რუსეთის მოქმედებას ევროპარლამენტი საერთოდ არ განიხილავს. მთავარ მიზეზად ევროპარლამენტარებმა მათთვის ცალმხრივად მიწოდებული ინფორმაცია დაასახელეს.

ვფიქრობ, იმის მოლოდინი, რომ ევროკავშირი რუსეთს სერიოზულ ეკონომიკურ სანქციებს დაუწესებს, გადაჭარბებულია. ევროკავშირი, რა თქმა უნდა, თავის პოლიტიკურ ბერკეტებს აამოქმედებს რუსეთთან მიმართებაში, მაგრამ ჩვენ ძალიან მძიმე რაღაცეებისთვის უნდა ვიყოთ მზად. ევროკავშირის რეაქცია რუსეთის მიმართ, შესაძლოა, მთლად ისეთი ადეკვატური არ იყოს, როგორიც ჩვენი მოლოდინია.

საქმე ის არის, რომ დასავლეთში გაიაზრებენ 8 აგვისტოს შემდეგ განვითარებულ მოვლენებს. მართლაც, ძალიან დიდი მნიშვნელობის ფაქტი მოხდა. ფაქტობრივად, მსოფლიოში ახალი მსოფლიო წესრიგი ყალიბდება და ამას შესაბამისი გააზრება სჭირდება. ჩვენ რატომღაც ისეთი წარმოდგენა გვაქვს, რომ რუსეთს, როგორც ქვეყანას, დასჯიან.

ქვეყანა, რომელმაც საერთაშორისო სამართალი დაარღვია, ყოველთვის იქნება მსოფლიო თანამეგობრობის ზეწოლის ობიექტი. ძალიან ძნელი მოსასმენია, მაგრამ დღეს ობიექტურობა გვჭირდება და კარგად უნდა გვესმოდეს, რომ რუსეთი დიდი ხანია ინტეგრირებულია საერთაშორისო ინსტიტუტებში. ეს არ არის საბჭოთა კავშირი. ყველამ კარგად იცის, რომ რუსეთი დღეს ევროკავშირს ან აშშ-ს ომს არ დაუწყებს. დანარჩენი არის მცდელობები, რომელიც ჩვენი მხრიდან ემოციით არის გადაფარული. სამწუხაროდ, ჩვენ პრესაში და სატელევიზიო ეთერშიც მომხდარს კი არ აანალიზებენ, არამედ ემოციებს ვართ აყოლილი და გვაქვს გადამეტებული მოლოდინი.

დასავლეთი შეეცდება რუსეთის განეიტრალებას, განსაკუთრებით მკაცრად შეფასდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტები, მაგრამ არ უნდა ველოდეთ ევროპული და მსოფლიო სტრუქტურებიდან რუსეთის იზოლაციას და რაიმე დამსჯელი ღონისძიებების განხორციელებას.

**— რუსი ექსპერტები ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ევროკავშირი რუსეთს ევროკავშირის ქვეყნებში ვიზების გაცემაზე შეზღუდვებს დაუწესებს, არ გამორიცხავენ დასავლეთის ბანკებში რუსული ანგარიშების წარმოშობის შესწავლას?**

— თქვენ ნახავთ, რომ დასავლეთის რეაქცია იქნება ისეთი, როგორც უნდა იყოს, მკაცრი, მაგრამ ეს არ იქნება რუსეთთან დამაკავშირებელი ხიდების დაწვით და ისეთი დაწვრილმანებული ქმედებებით გამყარებული, რომელზეც ქართულ პრესაში ბევრს საუბრობენ. რუსეთის იზოლირებას თავად დასავლეთი არ დაუშვებს

**— დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დევიდ მილიბენდმაც განაცხადა, რომ რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დაწესება, შესაძლოა, კონტრპროდუქტიული აღმოჩნდეს, მაგრამ საომარი მოქმედებების დაწყების პირველივე დღეებში რუსეთის საფონდო ბირჟის საერთო კაპიტალიზაცია 400 მილიარდი აშშ დოლარით დაეცა, რუსეთიდან 17 მილიარდი აშშ დოლარი უკვე გავიდა, თუ ადრე კაპიტალიზაციის მაჩვენებლით რუსული „გაზპრომი“ მსოფლიოში მესამე ადგილზე იყო, მან ახლა მე-7-ზე გადაინაცვლა, ანუ რუსეთზე ეკონომიკური ზემოქმედების ნიშნები შეინიშნება, ესეც ფაქტია...**

— ის, რაც თქვენ ბრძანეთ, მართლაც საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთი კაპიტალისტური ქვყანაა, დასავლეთმა ეს შესანიშნავად იცის. კაპიტალიზაციის ვარდნა საბაზრო მოთამაშეების მხრიდან სწორედ იმ მოვლენებზე რეაქციაა, რაც მოხდა.

„გაზპრომის“ კაპიტალიზაციის ვარდნა და ის, რომ მისმა საბაზრო ფასმა სოლიდური პროცენტით მოიკლო, ეს იყო მომხდარზე ბაზრის ბუნებრივი რეაქცია. ეს მნიშვნელოვანია იმით, რომ რუსეთის კაპიტალზე ფასის კლება რომელიმე სახელმწიფოს კი არ განუხორციელებია, არამედ ეს იყო რუსეთის ხელისუფლებაზე ბაზრის რეაქცია. ეს სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ თუ რუსეთი გადაუხვევს თანამედროვე მსოფლიოში არსებული წესებიდან, იგი ადრე თუ გვიან უნდა ჩამოსცილდეს ცივილიზებულ სამყაროს და რაღაც ჩაკეტილ ეკონომიკას უნდა დაადგეს, რაც უახლოეს რამდენიმე ათწლეულში მოსალოდნელი ნამდვილად არ არის. ჩვენ უფრო საღი თვალით გვჭირდება რეალობების დანახვა. ის, რომ ევროკავშირი და აშშ რუსეთზე ზემოქმედებას განახორციელებს, უდავოა, მაგრამ ეს მოხდება მსოფლიოში პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით.

იმ დიდი გამოწვევების გათვალისწინებით, რომელთა წინაშეც დღეს ცივილიზებული სამყარო დგას, მისი ერთი, ძალიან დიდი, კარგად ინტეგრირებული ნაწილის რუსეთისგან იზოლირება ძალიან დიდ პრობლემებს შეუქმნის ისევ ამ ცივილიზებულ სამყაროს. უმჯობესი იქნება შეკავების მექანიზმები ამოქმედდეს პოლიტიკური ბერკეტებით, როგორც პარტნიორ ქვეყანასთან ზემოქმედება. სწორედ ასეთი მექანიზმების შექმნაში ხედავს დღეს გამოსავალს დღევანდელი მსოფლიო პრესა. ყველა თანხმდება იმაში, რომ რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობა დასალაგებელია.

ვფიქრობ, რომ ერთის მხრივ, შეფასებები იქნება ძალიან მკაცრი, მაგრამ, მეორე მხრივ, იქნება მცდელობა იმისა, რომ რუსეთი არ მოწყდეს ცივილიზებულ ინსტიტუტებს და იზოლაციაში არ წავიდეს. დასავლეთშიც კარგად გრძნობენ, რომ რუსეთის იზოლაცია დასავლეთისთვის სასიკეთო არ იქნება.

**— მედვედევის განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთი მზად არის „ცივი ომისთვის“, მიანიშნებს, რომ რუსეთი არც ზნის შეცვლას აპირებს, არც ხასიათისას და არც იმ პოზიციისას, რომელსაც საქართველოს წინააღმდეგ დაადგა.**

— რას გააკეთებს რუსეთი, ეს რუსეთის საქმეა. ჩვენთვის მთავარია პრინციპული გააზრება იმისა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ იმ ადგილზე და იმ გარემოში, რომელიც ჩვენგან, ჩვენივე არჩეული კურსის ფარგლებში, მეზობლებთან დაბალანსებული და მოზომილი ურთიერთობის წარმოებას მოითხოვს.

ჩვენი დღევანდელი სიტუაციიდან კარგად ვხედავთ, თუ როგორ უჭირდათ ქართველ მეფეებს, რომლებიც ლავირებდნენ მსოფლიოს უზარმაზარ იმპერიებს შორის. როგორლაც უნდა ვისწავლოთ მეზობლებთან არა თვალთმაქცობა, არამედ ურთიერთობის სწორ პრინციპებზე აგება, რომელიც საქართველოსთვის გარკვეულად დამცავი მექანიზმი იქნება.

**კობა ბენდელიანი**

◎ ბიზნესპოლიტიკა

# ენერგეტიკული მათრახის ძალა



**დასავლელი პოლიტოლოგები და ეკონომიკური ექსპერტები ბევრს ბჭობენ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ააწყოს მსოფლიო თანამეგობრობამ რუსეთთან მის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული აგრესიისა და ტერიტორიული მთლიანობის ფაქტობრივი ხელყოფის შემდეგ. უმრავლესობის აზრით, ყველაზე მიამიტი და გაუმართლებელი, იქნებოდა პოლიტიკისა და ბიზნესის რაღაც ნიშნით გაცალკევება და ორივე სფეროში რუსეთზე ზემოქმედების მეთოდი საკმაოდ ხისტი უნდა იყოს.**

პოლიტიკისა და ბიზნესის ერთმანეთისგან გამოყოფა არსად არ არის შესაძლებელი — არც აფრიკაში, არც აზიაში და, მით უმეტეს, არც ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებში. **ჯერ კიდევ არც თუ შორეულ წარსულში მრავალი პოლიტოლოგი ევროპის მომავალს ახალი დემოკრატიული ქვეყნების სტაბილურ განვითარებაში ხედავდა, თუმცა ნედლეულის, განსაკუთრებით კი ნავთობისა და გაზის არასაკმარისობამ როგორც თავად ვითარება, ასევე ხედვა მკვეთრად შეცვალა.**

ნავთობსა და გაზზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ პირველ ყოფლისა თავად რუსეთის როლი შეცვალა და ის საკუთარი პირობების მოკარნახე ექსპორტიორად გადააქცია. **როცა რუსეთში ქაოსი სუფევდა და მისი აქტივები მსხვილი ბიზნესის „კაპიტნების“ ხელში იყო მოქცეული, დასავლეთს, როგორც მომხმარებელს, შეეძლო საკუთარი ნება-სურვილით მოქცეულიყო. მაგრამ, როცა წარმოიშვა ენერგოშემცველების უკმარისობა და სახელმწიფომ კვლავ ხელთ იგდო ნედლეულზე კონტროლი, თამაშის პირობების დამდგენის როლიც რუსეთს ერგო.**

კაცმა რომ თქვას, იმპერიული მითის გასაღვივებლად ესეც საკმარისი იყო, მაგრამ არის კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება. რუსეთი ასევე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მის სამხრეთ საზღვრებთან მდებარე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებში ანუ ცენტრალური აზიის ქვეყნებში, რამაც — და ეს, ვფიქრობთ, მეტად საგულისხმოა — ასახვა საქართველოს მიმართ განხორციელებულ აგრესიაში ჰპოვა, რამაც კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა მისი იმპერიალისტური მისწრაფებები. საკმარისია სამხრეთ კავკასიის რუკას თუნდაც ერთი წუთით დავაკვირდეთ, რომ დავინახოთ — **საქართველო იმ პირობითი „ბოთლის ყელია“, რომლის ტანი და ძირი აზერბაიჯანი და შუა აზიის ქვეყნებია.** საქართველო ამ ქვეყნებიდან ევროპაში რუსეთისთვის გზის ავლით ორი უმნიშვნელოვანესი — ნავთობისა და გაზის — მილსადენის გზაზეა, რომელიც დასავლეთის ქვეყნებმა საგანგებოდ გაიყვანეს, ხოლო „ბოთლის ყელში“ „საცობის დაცმით“ რუსეთი დასავლეთში თითქმის შეუზღუდავი ენერგეტიკული ბატონობის შესაძლებლობას მიიღებს.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი. ევროპისთვის შექმნილი ვითარების სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ამჟამად ყაზახეთიდან და ყირგიზეთიდან, ასევე დამატებით აზერბაიჯანიდან ენერგოშემცველების მიღების მხრივ საქართველო რუსეთის ერთადერთ ალტერნატივას წარმოადგენს. რუსეთის გვერდის ავლით ევროპისთვის ნავთობისა და გაზის მიწოდების სხვა მარშრუტი შეიძლებოდა ირანი ყოფილიყო, მაგრამ თეირანთან კონფრონტაციის პირობებში ეს სრულიად წარმოუდგენელია. მოკლედ, კასპიისპირა ენერგოშემცველთა მწარმოებელთათვის ევროპის ქვეყნებისთვის მიწოდების მარშრუტი ან საქართველოზე, ანდა პირდაპირ რუსეთზე უნდა გადიოდეს.

საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას უწინარესად განიხილავენ როგორც მიმართულს დასავლეთის წინააღმდეგ, თუმცა რეალურად მას უფრო მეტი გავლენა მთლიანად კავკასიისა და კასპიის ქვეყნებზე აქვს. ჩვენს მხარდამჭერ უკრაინასთან, პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ამას შეხება არ აქვს — იქ რუსეთს სხვა „ჭია“ ღრღნის. **რუსეთის ჭეშმარიტი ეკონომიკური ინტერესები კი (და, შესაბამისად, გეოპოლიტიკურიც) სწორედ იქ არის, სადაც უხვადაა გაზი და ნავთობი.**

ამასთან მეტად საგულისხმოა, რომ ბოლო დღეებში მრავალი დასავლელი ექსპერტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „გავლენის სფეროებისთვის“ ბრძოლის ლოგიკიდან გამომდინარე, დასავლეთს რუსეთი არა გამძვინვარებულ დათვად, არამედ, უწინარესად, კონკურენტად უნდა აღექვა. გარკვეულწილად საკმაოდ ცინიკურ მოსაზრებას, ჩვენი აზრით, მაინც აქვს არსებობის უფლება, რადგან ის, ხშირად ჰიპერტროფირებული სიდინჯე, რომლითაც დასავლეთი ახალი ნავთობსადენების, მათ შორის საქართველო-თურქეთის საზღვრიდან დიდად გაპიარებული Nabucco-ს მშენებლობას უდგება, რუსეთს „ენერგეტიკული მათრახის“ ხმარების სურვილს სულაც არ უნელებს.

საქართველოსთვის მეტად არახელსაყრელია ის გარემოებაც, რომ ევროკავშირს, ყოველ შემთხვევაში დღემდე მაინც, ერთიანი ენერგეტიკული პოლიტიკა არ გააჩნია, რაც რუსეთს, თავისთავად, „გაზისა და ნავთობის მათრახით“ სხვა ქვეყნების ცხვირ-პირის დასისხლიანების საშუალებას აძლევს.

**ოთარ ტურაბელიძე**

მარადიული გრძნობა



*ეს მცირე პირველსათქმელიც და ქვემორე თარგმანიც, ჩემო კარგო მკითხველო, შენთვის ერთმა არცთუ დიდმნიშვნელოვანმა ამბავმა შემომათავაზებინა. სულ ახლახან რუსულ „ლიტერატურნაია გაზეტაში", რომელიც ამჟამად კანტიკუნტად აღწევს თბილისამდე, ფრიად სახელგანთქმული ტელეჟურნალისტის ვლადიმერ პოზნერის ინტერვიუ წავიკითხე („რას კითხულობენ ტელევარსკვლავები"). ეს აგრერიგად „საჯარო ფიგურა", როგორც თავისთავს თვითონ უწოდებს (ტერმინ „ტელევარსკვლავს" იუმორითა და სკეფსისით ვუყურებო), კორესპონდენტის კითხვას, რომელ მწერალთ კითხულობო, ჯერ უპასუხებს, გოგოლსო, და მერმე იქავე დასძენს, რაბლეს ვალმერთებო, თავაუღებლად შემიძლია, რომ დილიდან საღამომდე ვიკითხოო.*

*ასეთ შემთხვევაში, როცა მოსაუბრე იმისთანა რასმე ამბობს და თანაც ისე, რომ შენს გულისთქმას სიტყვასიტყვით იმეორებს, ვიტყვით ხოლმე, ეს კაცი ისე ლაპარაკობს, თითქოს ჩემს გულში იჯდესო...*

*„წიგნთან მწყრალად ყოფნის" ამ მძიმე ჟამს სწორედ ასე დამემართა: ერთ-ერთი მართლა კარგი მკითხველი კაცისგან გოგოლისა და რაბლეს ერთად კეთილად ხსენებისას სასიამოვნოდ აშლილმა ფიქრმა კვალად მიმახედა ცის ქვეშეთში ყველაზე ფილოსოფიურად მხიარული „გარგანტუასა და პანტაგრუელისკენ", რომლის ქართულად გადმოღებასაც არა ერთი და ორი წელიწადი მივათვალე. ვინც საქმეში ჩახედულია, იცის, რომ გოგოლის სიყვარული იგივე რაბლეს სიყვარულია, რადგან გოგოლის სათავე (მწერლები მდინარეებივით არიან) რაბლეა და არა მარტო გოგოლისა, ჩვენი ილია ჭავჭავაძეც კარგა გვარიანი რაბლეელია (კაციაო? ადამიანიო? — დიალაც რაბლერად ოთხში იღებს საწყალ ლუარსაბს). თვითონ რაბლე კი თუ ვისმესგან არის „შექმნილი", ერთ-ერთი ძველი ბრძენკაცი ლუკიანეა. სირიაში დაბადებული, ქალაქ სამოსატაში, მერმე ფრიად სახელგანთქმული ბრძენი მწერალი გახდა, სატირისა და სარკაზმის დიდოსტატი (თუ საჭიროება მოიტანდა, თავად ოლიმპის ღმერთებსაც არ ინდობდა, სუყველას განურჩევლად სისხლს უშრობდა), თითქმის სამოცდაათი წლისა ელინისტურ ეგვიპტეში აღესრულა პირველი ათასწლეულის დაახლოებით 140 წელს.*

*ეს ყველაფერი კი იმად მოგახსენე, კარგო მკითხველო, რომ თვითონ ფრანგი რაბლეც, რუსი გოგოლიც, ჩვენი ქართველი ჭავჭავაძეც და ძველი ბერძენი ლუკიანეც თავიანთ დიდ სათქმელს ისეთნაირად ამბობენ, თითქოს ერთიც, მეორეც, მესამეც, მეოთხეც, მართლაც ჩემს გულში იჯდეს. ჩემს გულს რომ ვამბობ, ცხადია, შენს გულსაც ვგულისხმობ, ჩემო მკითხველო, და ლიტონი სიტყვა რომ არ გამომივიდეს, ამჯერად ლუკიანეს მოვიშველიებ, უფრო სწორად კი, ლუკიანეს ერთ მომცრო თხზულებას („ქებათა ქება სამშობლოს") და თავად დარწმუნდები ჩემი ნათქვამის სიმართლეში.*

*„გარგანტუასა და პანტაგრუელის" გადმოღებისას ხშირად მიხდებოდა ლუკიანეში ჩახედვა და ყოველთვის ვგრძნობდი, რომ რაბლესთან ერთად ის თითქოს ჩემს გულში იჯდა. ქვემორე ჩემეულ თარგმანსაც ამიტომ გთავაზობ. გულდაგულ წაიკითხე და ის შენს გულშიც აღმოჩნდება. თუ ვტყუი, გამამტყუნე.*

*თანაც კიდევ, როცა ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო ასეთ შავ დღეში ჩააგდეს შინაურმა და გარეულმა მტრებმა, ლუკიანეს სიტყვა დღეს მართლაც მრავლისმთქმელად გაისმის.*

*გურამ გოგიაშვილი*



## ლუკიანე სამოსატელი (125-190 წ.წ.)

# ქებათა ქება სამშობლოს

1. ძველი ჭეშმარიტებაა, რომ **„არცრაა მამულზედ უტკბესი".** მართლაც, განა არის სადმე რამე არა მარტოდენ უფრორე ტკბილი, არამედ უფრორე უწმინდესი, უფრორე ამაღლებული, ვინემ სამშობლოა? რაც კი რამ ადამიანიშვილთ წმიდათაწმიდად და უმთავრეს დედააზრად უჩანთ, ყველაყა დასტურ სამშობლოსგან უსწავლიათ, რამეთუ ყოველ კაცთაგანს სამშობლო სძღვნის სიცოცხლეს, სამშობლო ასაზრდოებს და ზრდის. რა ვუყოთ, თუ ბევრნი დასტრფიან უცხო ქალაქთა შემძლეებლობასა და დიდმშვენიერებას, შენებულობა-ნაგებობათა საჩინოებას, სამაგიეროდ სუყველას გულზედ ახატია მამულის ხატება. ბევრი დამტკბარა — და ძალიან ხშირადაც — უცხო მხარეთა შინა ურიცხვი სასწაულისა ჭვრეტით, მაგრამ არცვინ ისეგვარად არ მოუხიბლავს იმ სასწაულთა უხვებას, რომ სამშობლო გადაევიწყებინებინოს.

2. ჩემის ფიქრით, ვინცავინ იმით ამაყობს, მდიდარი ქალაქის მოქალაქე ვარო, მამულის სიყვარულისა ჭეშმარიტი აზრი არა უწყის: აშკარაა ესეგვარი კაცი ფრიად იმჭმუნვარებდა, უკეთუ წილად უფრორე ნაკლებად უჭირველი სამშობლო ერგებოდა. მე კი თავად სიტყვა „მამულის" პატივდება მგვრის სიამოვნებას. ვინაც ადგება და სხვადასხვა ქალაქსა ერთმანეთს შეადრის, საზომად სიდიდესა და სილამაზეს უნდა მიმართოს, აგრეთვე ამა ქალაქთა შინა საქონლისა სიუხვესაც უნდა გაუწიოს ანგარიში. ქალაქთა ერთმანეთისათვის შემდარებელი კაცი იგი ღმერთებს უმალ იმას შეევედრება, ჩემი სამშობლო სიმდიდრით იმა ქალაქთ გამითანაბრეო. არჩევით კი ოდენ თავის სამშობლოს აიირჩევს, სულერთია, რანაირიც არ უნდა იყოს ის სამშობლო.

3. ესეგვარადვე იქცევიან კეთილნი ძენი და გულმართალნი, პირუთვნელ- მიუფერებელნი მამანი, ხატკეთილი და აზნა, ანუ კეთილშობილი ჭაბუკი შემქმნელ მამასა არცროდის დაამბჯობინებს, სხვა ვინმე კაცსა; სწორედ მართალი, ანუ ჭეშმარიტი მამა კი არცროდის იმზომ არ შეიყვარებს სხვა ვისიმე ყრმასა, თავისი ღვიძლი შვილი რომ დაივიწყოს. რომელი მამანიც თავიანთი შვილების სიყვარულით არიან გულსავსენი, ისინი სხვა მრავალთა შორის მიწყივ გამორჩეულად ხედავენ საკუთარ სისხლსა და ხორცსა, და ეჩვენებათ, ძეთა ჩვენთა ნახვასა, არა სჯობია რაო, ყოვლის უფრორე ლამაზნი და ლომგულნი არიანო, ყოვლის უფრორე უხინჯონიო. ვგონებ, ვინაც სხვარიგად სჯის თავისი ძისა გამო, ის საკუთარ ნაშიერს მამის თვალით არ უყურებს.

4. არცრა სიყტვაა უფრორე ახლობელი და ძვირფასი, ვინემ სიტყვა „მამულია", როგორაც არცრაა ჩვენთვის მამაზედ მეტად ძვირფასი. უკეთუ ჭაბუკი მამისა მიმართ ჯეროვანი პატივდებით გულსავსეა (ესეგვარია კანონისა და ბუნების ნება), განა ის ამით სამშობლოსაც არ მიაგებს პატივსა? მერედა, მამამისიც ხომ ნაწილია სამშობლოსი, აგრეთვე მამისა მამაც, იგივ პაპა, და ყოველი წინაპარი, პეპერად ხმობილი, და მამა-პაპათა ჩვენთა ღმერთნიც, რომელთ სახელთაც თანდათან მივატანთ, თაობიდან თაობამდე აღმასვლით.

5. თავად ღმერთებსაც უყვართ თავიანთი სამშობლო: ვითარ შეჰფერით, ისერიგად ადევნებენ ისინი თვალყურს ძეხორციელთა საქმეთ, რამეთუ ყუყოველი მიწა და ზღვა თავიანთ საბრძანებლად უჩანთ. მაგრამ თითოეული უკვდავთაგანი ყოველთა ქალაქთა შორის ყოვლის უმეტესად იმას მიაგებს პატივსა, სადაც ამა ქვეყანას მოევლინა.

ცხადია, სუყოველი ქალაქი, სადაც ღმერთნი შობილან, საკუთრად და განსხვავებით წმინდა ადგილია, კურთხეულია აგრეთვე სუყოველი კუნძული, სადაც ღმერთების დაბადებას დღესასწაულობენ. ის კი არა, ღმერთის სამშობლოში მისული კაცის მიერ შეწირული მსხვერპლიც სასურველად მიითვლება ზეცისა მკვიდრთაგან, და უკეთუ მამულისა სახელი თავად ღმერთებისთვისაც ძვირფასია, კაცნი რა, ვითომ უფრორე მეტად არ უნდა უფრთხილდებოდნენ სამშობლოდ სახელდებულ მიწა-წყალსა?

6. მზეც ხომ სუყოველმა კაცმა პირველად სამშობლოში დაინახა. და თუმცაღა მზე ყოველთა კაცთა საერთო ღმერთია, მაგრამ სუყველას თავის მამაპაპისეულად მიაჩნია, რადგანაც პირველად თავისი მშობლიური წყალ-ჭალიდან ჰკიდა თვალი და ენაც აკი სუყოველმა მამაპაპისეულ მხარეში ამოიდგა; ყოვლის უადრე მშობლიურ ენაზედ იქ აღუღუნდა და იქავე შეიცნო ღმერთნიც.

უკეთუ კაცსა წილად ისეთი სამშობლო ხვდა, საიდანაც დიდი ცოდნისა შესაძენად სხვაგან, უცხო მხარეში უხდება წასვლა, მაინც მადლიერი უნდა იყოს თავისი მამულისა, თუნდაც სულ მცირე რამის სწავლებისთვის: სხვას თავი დავანებოთ, სიტყვა „ქალაქიც" კი არ ეცოდინებოდა, უკეთუ სამშობლოში არ შეიტყობდა, რომ ქვეყნად ქალაქები არსებობენ.

7. ვგონებ, სუყოველ ჩვევას, სუყოველ ცოდნას, კაცნი იმად მოინაგრებენ, რათა მეტი არგონ სამშობლო ქვეყანას. სიმდიდრესაც მოკვდავთ პატივმოყვარეობა ახვეჭინებს, რა არი მერმე მამულისა კეთილდღეობას დაახარჯონ. ჩემის ფიქრით, მართალნიც არიან: ოდეს დიდ სიკეთეს მოუყრი თავსა, უმადურობა არღა ეგების. უკეთუ ჟამისად ერთი კაცის მადლიერნი ვართ, ვინაც კეთილსა გვწია (სამართლიანობა აგრე ითხოვს), სამშობლოს მით უფრორე მეტი უნდა გადავუხადოთ, საკადრისი სიყვარულით შევმოსოთ.

თითქმის არ არის ქალაქი, კანონი რამ რომ არა ჰქონდეს, რომელიც დაუსჯელსა არცვის უშვებს, დედ-მამასა ვინაც უღირსად, უკეთურად ეპყრობა. სამშობლო კი ჩვენთა საყოველთაო დედად უნდა გვიჩნდეს და ყველაგვარ სიკეთესა ვუძღვნიდეთ იმისდა მადლიერების ნიშნად, რომ მან, მაწოვნებელმან ჩვენმა, დაგვზარდა, დაგვაფრთიანა, არცრა დაუკლია რა, და რჯულ-კანონთ თუ ვიცნობთ, ესეც იმისი ნასწავლია.

8. ჯერჯერობით არცვის არ უნახავს სამშობლოზედ ისეგვარად გულაყრილი კაცი, უცხო მხარეში თავის საგაზრდილოზედ ერთხელ მაინც არ აშლოდეს ფიქრი. სხვათა ქვეყანაში გადახვეწილთაგან, ვისაც საქმე მაინცდამაინც დამში ვერ მოუყვანია და ხელი არ ემართება, სუყველანი ერთხმად გაიძახიან, სამშობლო ყოვლის უფრორე დიდი მადლიაო. ის კი არა, რომელნიც წარმატებულან და ფეხზედ წელგამართულად დგანან, ისინიც ჩივიან, ფუფუნებას რა ხელსა ვყრით, მთავარი რამ გვაკლიაო, უცხო ქვეყანა ვერ გვსამშობლოობსო. შენი მიწა-წყლის გარეთ ცხოვრება, სხვა არა იყოს რა, ცოტა შეურაცხმყოფელიც კია, და აკი ხშირადაც ვხდებით იმის მოწმენი, რომ მრავალთაგან, ვინაც სხვათა ქვეყანაში ცხოვრობს, რარიგ გაითქვა მავანმა და მავანმა სახელი, რარიგ გამდიდრდა და გაპარპაშდა, ანდა რარიგ დიდი პატივი და საყოველთაო აღიარება მოიხვეჭა თავისი უტყუარი ვაჟკაცობისა თუ დიდი განსწავლულობისა გამო, მაგრამ ის მაინც სამშობლოსკენ ილტვის, იმისი სული და გული სამშობლოშია, თითქოსდა უცხო მხარეში ღირსეული შემფასებელი და დამფასებელი ვერ ეპოვნოს და რაც მეტ სახელ-დიდებას აღწევს კაცი სხვა ქვეყანაში, მით უფრორე ძლიერად მიიწევს სამშობლოს გულში ჩასახუტებლად.

9. სამშობლო სანუკვარი რამ არის ყმაწვილკაცთათვის. მაგრამ ბერიკაცთ იმზომ ძალუმ მიუწევთ სამშობლოსკენ გული, რაზომაც ისინი ახალგაზრდებზედ მეტად ბრძენკაცნი არიან. სუყოველი ხანმრავალი კაცი იქ ილტვის და იქა ცდილობს სიცოცხლის დასრულებას, სადაც არსებობა დაიწყო, რათა ნეშტად ქცეული მშობლიურ მიწას მიებაროს და თავისი ადგილი მიიჩინოს მამა-პაპათა ძვალთშესალაგში.

10. კაცსა ოდენ მკვიდრ მსახლობელთა კვალობაზეც შეგიძლია განსჯა, რა მოწიწებითაც ექცევიან სამშობლოს ნამდვილნი შვილნი, ვინაც კი იქ დაბადებულა, ხოლო გამრიელნი და გარმიანელნი, ანუ უცხონი, ჩამოხენცილნი, როგორაც უკანონო-უხსნიერნი თუ ნაბუშარ-ნაბიჭვარნი, გულარხეინად მიდი-მოდიან, როცა უნდათ, მაშინ აიყრებიან. სიტყვა „მამული" ან სულ არ უწყიან, ანდა სულაც არ ეძვირფასებათ, პასუხიც აკი მიწყივ მზადა აქვთ, ჩვენს წილ სარჩოს მზის ქვეშე ყოველგან მოვიშოვებთოო. ისინი კეთილდღეობას კუჭის მხიარულებით ზომავენ. ვისთვისაც მამული იგივ დედაა, ძვირფასია ის მიწა-წყალიც, სადაც ისინი შობილან და დავაჟკაცებულან. მერე რა, თუ მიწა-წყალი ესე არ არის ვრცელი, **„ხირხატია და არ ეთქმის მოსავლიანი"** და თუგინდ საქებარი მიზეზი ამა მიწა-წყლისა ძნელი საპოვნელიც იყოს, ერთგულნი ძენი მაინც იპოვნიან და სამშობლო ქვეყნის აზმა-ქებით არღა დაშვრებიან. ხოლო ყურში თუ ჩასწვდებათ სხვაგნებურთა კვეხნა, ჩვენი ველმინდვრებიც თვალუწვდენელია და ხოდაბუნებიცაო, მთა უხვად ტყიანი გვაქვს, ბარი ხეხილიანო, ისინი არც მაშინ დააყოვნებენ თავიანთი სამშობლოს აზმაიფარს, ანუ საქებარ სიტყვას, სულაც არად ჩააგდებენ ბედაურთა მხარეს, კვალად „კარგ მოყმეთა ამღზრდელ" ქვეყანას ეტყვიან ქება-დიდებას.

11. სუყოველი კაცი სამშობლოს მიელტვის: **თუნდაც ის კუნძულელი იყოს,** და უკეთუ უცხო მხარე მარადიულ ნეტარებას ჰპირდება, ის არც დაფიქრდება, ხელსა ჰკრავს სხვაგან შეძლეულ ამ უკვდავებას, რადგანაც მშობლიურ მიწაში დამარხვას ამჯობინებს. და შინ მიბრუნებულს სამშობლოს კვამლი უცხო ცეცხლზედ უფრორე ნათელი მოეჩვენება.

12. ჩანს, მამული სუყოველი კაცისთვის ისერიგად ძვირფასია, რომ კანონმდებელთაგან უდიდეს დანაშაულთათვის სასჯელის უმაღლეს საწყაულად ყოველგან მოკვეთა, თემიდან განდევნაა დაწესებული. და არა მარტო სჯულმდებელნი, ამავე აზრისანი არიან მხედართუფროსნიც, ვისაც ლაშქრის გაგულოვნება ევალება: ბრძოლის ველზე მწყობრში მდგომთათვის ყოვლის მეტად გულის შემძვრელი ხომ მამულისთვის თავდადების მოწოდებაა და ვინაც ამ მოწოდება-საძახელს ყურთ შეატყობინებს, არცვინ არ ისურვებს უღირსებო კაცად გამოჩენას, რამეთუ სიტყვა „სამშობლო" მხდალსაც აჩაუქებს.

### ზოგი მცირე რამ განმარტება

*„არცრაა მამულზედ უტკბესი". „ოდისეა" (სე-9. 34).*

*„... ხირხატია და არ ეთქმის მოსავლიანი". „ოდისეა" (მე-4, 605).*

*. ... თუნდაც ის კუნძულელი იყოს... იგულისხმება ოდისევსი, კუნძულ ითაკეს მეფე, გზად იყო გადებული, ძველ მსოფლიოში ქვეყანა არ დარჩენია მოუვლელი.*

რას წერენ ჩვენზე



# სააკაშვილის შგუნურობა

**ამერიკისა და ევროპის უპირატესი რეაქცია რუსეთის საპასუხო დარტყმაზე, რაც მოჰყვა ქართულ იერიშს სამხრეთ ოსეთში „სამშვიდობო“ ძალებზე, გახდა აზრი იმის შესახებ, რომ რუსეთმა ძალიან გააშიშვლა თავისი ეშვები. ახლა იგი უნდა დაისაჯოს „გადაჭარბებული რეაქციისათვის“ სამხედროებზე თავდასხმის გამო.**

ეს რეაქცია არ გულისხმობს იმის აღიარებას, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რეალური ზიანი მიაყენა ამერიკის შეერთებულ შტატებს, ნატოსა და თავად საქართველოს, რომელიც უახლოეს მომავალში გახდება შეზღუდული სუვერენიტეტის სახელმწიფო და ძნელი რთული ტვირთი თავისი დასავლელი მოკავშირეებისათვის.

საქართველოს მოუწევს, შეურიგდეს რუსეთის ჯარებს, რომლებიც დარჩებიან მის ტერიტორიაზე გაურკვეველი დროის ვადით სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დაცვის მიზნით. ეს რესპუბლიკები აქამდე არსებობდნენ როგორც თვითგამოცხადებული, რუსეთის პროტექციით, და რომლებიც საბოლოოდ შეიძლება იქნენ ანექსირებული რუსეთის მიერვე მათივე თხოვნით. რუსეთელებისათვის ამ მომენტში უფრო ხელსაყრელია დამოუკიდებლობის თვითგამოცხადება, ვინაიდან მათ უყვართ იმის გაზგასმით აღნიშვნა, რომ ეს მოჰყვა კოსოვოს სერბეთისაგან გამოყოფის პრეცენდენტს ამერიკის ხელშეწყობით.

ეს კრიზისი გახდა შემობრუნების მომენტი საერთაშორისო ურთიერთობებში, ვინაიდან იგი უჩვენებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ დაიცავს საქართველოს, მიუხედავად იმ შთაბეჭდილებისა, რომ ვაშინგტონმა მოამზადა ქართული ჯარები და სააკაშვილის მთავრობას აცხადებს, როგორც თავის პროტეჟეს, იგი იყო ერთგვარი მონაწილეც ქართული შეტევისა სამხრეთ ოსეთსა და რუს ჯარისკაცებზე, რომლებიც ლეგალურად იმყოფებიან რეგიონში „სამშვიდობოების“ უფლებით.

რუსეთის ეს ჯარისკაცები იმყოფებიან იქ 16 წლის განმავლობაში საერთაშორისო შეთანხმების შესაბამისად, რომელიც მოჰყვა საქართველოს პირველ მცდელობას „დაებრუნებინა“ ლინგვისტურად და ისტორიულად განსხვავებული სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი. „დაბრუნების“ მცდელობას, ორივე პროვინცია იყო რუსეთის ავტონომიური პროტექტორატი ან რეგიონი 1810 წლიდან.

მომავალ კვირას ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი აპირებს საქართველოში ჩასვლას. ეს მოხდება აზერბაიჯანსა და უკრაინაში ვიზიტის შემდეგ, ქვეყნებისა, რომლებიც, ეჭვს გარეშეა, სჭირდებათ ამერიკის დახმარება რუსეთის რისხვისა და ამერიკული „დიპლომატიური თავშეკავებულობის“ შემდეგ (რაც ნიშნავს რაციონალური ალტერნატივის უქონლობასძ. ამერიკის სამხედრო გემები იმყოფებიან შავ ზღვაში. ერთ-ერთმა მათგანმა, საესკადრო ნაღმოსანმა, ჩამოიტანა ჰუმანიტარული ტვირთი საქართველოს სამხრეთ ნავსადგურში. რუსეთის მხარემ მჭმუნვარედ გაახმაურა თავისი შიში, რომ ამერიკულმა გემებმა ჩამოიტანეს საქართველოში იარაღი და თუმცა რუსებმა გაანადგურეს ყველაფერი, რაც აქ იყო – ახალი ამერიკული სამხედრო მოწყობილობა და ობიექტები, მიუხედავად ამისა სააკაშვილს ალბათ, არ სურს დაიწყოს ომი ხელახლა – თუნდაც ახლა, თუ ჩეინი არ ჩამოიყვანს 82-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიას და მეექვსე ფლოტს. რასაკვირველია, სწორედ ამას ელოდებოდა სააკაშვილი იმ ღამეს, როდესაც მისი შეჭრა გადაიჭრა პანიკურ გაქცევად.

„სად არის ამერიკა? – კითხულობს იგი. – სად არის თავისუფალი სამყარო?“. ამის შემდეგ მან მიიღო პრეზიდენტობის კანდიდატის ჯონ მაკკეინისა და ჯო ბაიდენას დაპირებანი. ეს იყო უგუნური და სულელური ღონისძიება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ უბედურებას, რომ დაიღუპა, დაიჭრა, დაკარგა საკუთარი სახლი და მოექცა ეთნიკურ წმენდაში, ამჟამად კი გადაიქცა მჭმუნვარე ლტოლვილად ათასობით ადამიანი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიატოვა სააკაშვილი და ქართველები მძიმე და დაუცველ მდგომარეობაში და ეს მოხდა იმ სიგნალების შემდეგ, რომ საქართველო მიღებული იქნება ნატოში და ამერიკელები დაეხმარებიან დემოკრატიის გავრცელებას კავკასიაში.

უკრაინამ და ბალტიისპირეთის ქვეყნებმა მიიღეს თავისი გაკვეთილები: დიდი სახელმწიფოები არ ერთვებიან ომში სხვა ქვეყნების მძიმედ შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ მხოლოდ იმის გამო, რომ მოაწესრიგონ ძველებური სექტანტური განხეთქილებანი და უცხოენოვანი კონკურენტების პაექრობა ისეთ ქვეყნებში, თუნდაც ისინი ნატოს პოტენციური ქვეყნები იყვნენ.

პოლონეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა ვარაუდობდნენ, რომ მათი მხრიდან გონივრულია, მხარი დაუჭირონ ვაშინგტონსა და იარაღის მის მწარმოებლებს, რომლებიც შეპყრობილი არიან იდეით – შექმნან რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა იმ შემთხვევისათვის, თუ ირანი შეეცდება სუიციდურ დარტყმას. მათ ახლა აღმოაჩინეს, რომ რუსეთი გაბრაზებულია ამერიკელთა იმ განცხადებებით, რომლებისაც მათ სჯეროდათ, მაგრამ რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, თავად ვაშინგტონელი პოლიტიკოსებისათვის იყო სატყუარა ამომრჩეველთა და მოზიდული სახსრებისათვის.

ისრაელმა აღმოაჩინა, რომ სირია აწარმოებს მოლაპარაკებას მოსკოველ იარაღის მიმწოდებლებთან. რუსეთის თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან სხვადასხვა საკითხებზე – ირანი, „ხამასი“ და „ხესბოლა“, კონტრტერორიზმი, ბირთვული გაუვრცელებლობა, ევროპისათვის ნავთობ-გაზის მიწოდება – ახლა, როგორც ელოდებიან, შეწყდება.

რატომ? იმიტომ რომ კლინტონისა და ბუში მეორის ადმინისტრაციისა და პენტაგონის მთელი რიგი პოლიტიკური პერსონაჟები მიიჩნევენ, რომ ნატოს გაფართოება რუსეთის საპარადო კარებამდე იქნება დაუცველი დემონსტრაცია ამერიკული ძალისა. მათ შეეძლოთ კონტროლის ქვეშ აეყვანათ რუსეთისაგან ისტორიულად დამოკიდებული ზოგიერთი ტერიტორია და პროტექტორატი – რათა აჩვენონ, რომ მსოფლიოში არიან „ნომერი პირველები“.

**უილიამ პფაფი**

Herald Tribune

# გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა: შეთანხმებას ვერ მიაღწიეს

**გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა საქართველოში სიტუაციასთან დაკავშირებით გაიმართა მხარეთა ურთიერთდაბრალებებით და დამთავრდა რაიმე შემაჯამებელი დოკუმენტის მიუღებლად.**

სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის წარმომადგენლები, რომელთა დასწრებასაც დაჟინებით მოითხოვდა რუსეთი, შეხვედრაზე არ იქნენ დაშვებული.

უშიშროების საბჭოს ბევრმა წევრმა მოსკოვის გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ დაგმო, პასუხად მათი მისამართით მოსკოვის მხრიდან გაისმა ბრალდებები წინასწარგანზრახულობასა და პირფერობაში.

დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს წარმომადგენლებმა დაგმეს რუსეთი საქართველოს საზღვრების დარღვევის მცდელობაში ჯარების შეყვანის გზით და შემდგომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით.

ამის პასუხად გაეროსთან რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა განაცხადა, რომ ეს ბრალდებანი უსაფუძვლოა, ვინაიდან ვაშინგტონმა და ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ აღიარეს კოსოვოს დამოუკიდებლობა.

ჩურკინმა გაიხსენა ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების ერაყში შეყვანაც: იგი შეეკითხა ამერიკის წარმომადგენელს ალეხანდრო ვოლფს იმის შესახებ, თუ აღმოჩნდა ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი.

ამერიკელმა და ბრიტანელმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეს შედარებანი არაკორექტულია.

გაეროში საქართველოს წარმომადგენელმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ რუსეთის მოქმედებები იყო წინასწარ დაგეგმილი და მოუწოდა გააგზავნონ აფხაზეთში გაეროს წარმომადგენლები.

ამ სხდომაზე არავითარი რეაქცია არ გაუკეთებია ჩინეთის მხარეს, რომელიც გაეროში ხშირად გამოდის რუსეთის მხარეს.

სხდომაზე მდუმარედ იყვნენ აგრეთვე ვიეტნამისა და სირიის დელეგაციები, რაც დიპლომატების აზრით მიუთითებს გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთის იზოლაციის შესახებ.

ამ დროს, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნებმა, რომელთა სამიტიც მიმდინარეობს დუშანბეში, 28 აგვისტოს მიიღეს დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ შანხაის ორგანიზაციის სახელმწიფოებმა „მხარი დაუჭირეს რუსეთის აქტიურ როლს მშვიდობის შენარჩუნებაში“ სამხრეთ ოსეთში.

ამავე დროს შანხაის ორგანიზაციის ექვსი ქვეყნის ლიდერებმა ხაზი გაუსვეს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპისადმი ერთგულებას.

BBC RUSSIAN.com

# პუტინი: „საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების შეთქმულებაა“



**ქართული სასკლაო სამხრეთ ოსეთში ორგანიზებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების მიერ – ასეთი ბრალდება წამოაყენა პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა.**

მან ამავე დროს აღნიშნა, რომ რუსეთი არ გამოიყენებს იარაღის სახით ნავთობს ევროპული ქვეყნების მხრიდან ზემოქმედების პასუხად კავკასიაში კონფლიქტისათვის. მანამდე ცოტა ხნით ადრე სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების სარდლობის წარმომადგენელმა გამოაცხადა, რომ რუსეთმა ახლახან განახორციელა წარმატებული გაშვება საკონტინენტთაშორისო რაკეტისა, რომელიც აღჭურვილია ამერიკული კოსმოსური ფარის დაძლევის სპეციალური საშუალებებით. ამ ორმაგმა სილამ ვაშინგტონისადმი დაჩრდილა ურთიერთდაპირისპირების სხვა მოვლენები კრემლსა და დასავლეთს შორის, მათ შორის დუნე მხარდაჭერა, რომელიც პრეზიდენტმა გამოგლიჯა თავის ჩინელ კოლეგას ხუ ძინტაოს.

დღის წესრიგშია იგივე პუტინი. სიენ-ენისათვის მიცემულ ინტერვიუში პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ, ამერიკამ, ალბათ, დაარწმუნა თბილისი 7-8 აგვისტოს მოეხდინა ცხინვალის მასირებული დაბომბვა. და ეს, ალბათ, გაკეთდა საარჩევნო კომპანიის კონტექსტში, სხვა სიტყვებით რომ ითქვას, „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე ერთ-ერთი კანდიდატის საარჩევნო კამპანიისათვის მხარდაჭერის მიზნით“. თუმცა რუსეთის პრემიერმა არ დააკონკრეტა, თუ რომელმა პრეტენდენტმა უნდა მიიღოს დივიდენდები ამ ომისაგან. თუმცა სრულიად ცხადია, რომ იგულისხმება რესპუბლიკელი ჯონ მაკკეინი. იმან, თავის მხრივ, მოსკოვის განცხადებაზე მოახდინა მეტად მკვეთრი რეაგირება, რითაც მიიღო დამატებითი ქულები თავისი რეიტინგისათვის. შემდეგ პუტინმა კიდევ ერთხელ ბრალი დასდო ვაშინგტონს იმაში, რომ იგი აიარაღებს ქართულ არმიას. მან გაამართლა რუსეთის შეჭრა ოსეთში რამდენიმე სამშვიდობოს დაღუპვით და იმის განზრახვით, რომ თავიდან აეცილებინათ უდანაშაულო მოქალაქეების მასობრივი მკვლელობა. დაიმუქრა აგრეთვე, რომ შეაჩერებს თანამშრომლობას დასავლეთთან ირანის ბირთვულ პრობლემასთან დაკავშირებით. „თუ ჩვენთან არავინ მოისურვებს საუბარს ამ საკითხებზე და მათთვის რუსეთთან თანამშრომლობა არ იქნება საჭირო, ღმერთმა ხელი მოუმართოთ მათ იმუშაონ, როგორც უნდათ“, – აღნიშნა პუტინმა.

პრემიერამდე საუბრობდა სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების სარდლის თანაშემწე საზოგადოებრიობასთან და მასობრივი ინფორმაციების საშუალებებთან კავშირების საკითხებში პოლკოვნიკი ალექსანდრე ვოვკი, რამაც შეშფოთება გამოიწვია ევროპის ყველა დედაქალაქში. „ჩვენ მოვახდინეთ რაკეტა „ტოპოლის“ გამოცდა რაკეტების საფრენ-ტექნიკური დახასიათების სტაბილურობის დასადასტურებლად, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ სახმელეთო ბაზირების ბალისტიკური რაკეტების წინააღმდეგ“, – განაცხადა მან, რითაც დაადასტურა რუსების მზადყოფნა, თავი აარიდონ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებს, მათ შორის ამერიკულ „კოსმოსურ ფარს“, რომლის ელემენტებიც უახლოეს პერიოდში გეგმით უნდა განთავსდეს პოლონეთსა და ჩეხეთში.

საცდელი დაშვება, დააზუსტა ვოვკმა, მოხდა პლესეცკის ბაზაზე, მან წარმატებით გაანადგურა მიზანი რომელიც იმყოფებოდა კამჩატკაზე, 6 ათასი კილომეტრის დაშორებით. „რაკეტა იყო ექსპერიმენტული, მაგრამ შეიარაღებული მაღალი სიზუსტის ქობინებით“, – გვაცნობეს რუსეთის სარდლობაში. კავკასიაში კონფლიქტის შუქზე და მის მძიმე შედეგებზე დაყრდნობით, უკვე შეიძლება ვისაუბროთ მოსკოვის ახალ გამოწვევაზე დასავლეთის მისამართით. ეს წარმოადგენს კიდევ ერთ ეტაპს რუსეთის გადაიარღებისა, უწინარეს ყოვლისა ბირთვული გადაიარაღებისა, რაზეც პუტინი ენერგიულად მუშაობს უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში.

ამას გარდა მედვედევმა განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაციამ მიიღო პეკინისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მხარდაჭერა საქართველოში მის შეჭრასთან დაკავშირებით. „ეს დასავლეთისათვის სერიოზული სიგნალია“, – დაიმუქრა რუსეთის პრეზიდენტი ტაჯიკეთიდან, სადაც შეიკრიბნენ შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნები. სინამდვილეში თავის გამოსვლაში ჩინეთის პრეზიდენტმა ხო ძინტაომ გამოიყენა უფრო ფრთხილი გამონათქვამი, რომელიც მაინც მიუთითებს იმაზე, თუ რა პოზიცია უკავია მას.

**პიეტრო დელ რე**

la Repubblica

ეპოქა

# როცა ქართველობა ერთადერთ მთავარ დანაშაულად იქცა...

## და მადლი როგორ გახდა მატლი

სერგეი კრემლიოვი

# ლავრენტი ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

## ჯალათი თუ ბინძური პოლიტიკური შეთქმულების მსხვერპლი?!




მაგრამ სად მიდიოდა იგი?

იმის შესახებაც, თუ რისთვის დააპატიმრეს ბერია, შეიძლება წაიკითხო სხვადასხვა მოგონებებში. მაგრამ დოკუმენტების ანალიზს მივყავართ დასკვნამდე: დაპატიმრება მოხდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის დროს.

ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორი იყო საინფორმაციო პაუზა et caetera (და სხვა, და ასე შემდეგ)...

ავტორი წიგნისა „სოციალიზმის დროინდელი ბანდიტები?“ თედორე რაზაკოვი ამტკიცებს, რომ სწორედ ბერია იდგა „საბჭოთა საზოგადოების დესტალინიზაციის სათავეებთან, ხელს უწყობდა იმას, რომ სტალინის სახელი თანდათან გამქრალიყო მასობრივი ბეჭდვითი სიტყვის ფურცლებიდან“. სინამდვილესთან აბსოლუტურად შეუსაბამო ამ თეზისის დასასაბუთებლად რაზაკოვმა დაითვალა სტალინის სახელის ხსენება „პრავდის“ მოწინავეებში და განაცხადა, რომ 1953 წლის მაისის ბოლოდან ივნისის ბოლომდე, როდესაც დააპატიმრეს ბერია, სტალინი მხოლოდ ერთხელ იყო მოხსენებული. სამაგიეროდ, ბერიას დაპატიმრებიდან ერთი კვირის განმავლობაში სტალინის სახელი დასახელებული იყო 12-ჯერო.

ეს ხომ მექანიკური მიდგომაა საქმისადმი, რასთანაც ბერიას არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია.

ბერიას დაპატიმრების შემდეგ სტალინის სახელის ხსენება „პრავდის“ მოწინავეებში მართლაც გახშირდა, მაგრამ „ანტიბერიული“ პლენუმის უკვე ერთი-ორი თვის შემდეგ სტალინის ხსენება „პრავდის“ ფურცლებზე კვლავ შემცირდა იმდენად, რომ 1953 წლის 21 დეკემბრის ნომერში — ამ დღეს კი სტალინი დაიბადა, სიტყვაც არაა ნათქვამი სტალინზე. თითქოსდა წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია.

### ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ცენტრალური კომიტეტის წევრის გარეშე და „გამოძიება“ გამოძიებაში მყოფის გარეშე

ბერიას დაპატიმრების მეორე დღეს, 1953 წლის 27 ივნისს, ხრუშჩოვმა ხელი მოაწერა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წერილს ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და წევრობის კანდიდატების და ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრებისადმი ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის შესახებ წინადადებით — „აუცილებლად მობრძანდით პლენუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად“. და დანიშნულ დროს — 1953 წლის 2 ივლისს პლენუმი დაიწყო.

დღეს, როდესაც შესრულებულია უზარმაზარი სამუშაო დიდი სახელმწიფოს განადგურებისათვის, რაც იმ პლენუმზე დაიწყო, 1000-ცალიანი ტირაჟის წიგნის ფურცლებიდან შეიძლება ითქვას მხოლოდ სიმართლის ნაწილი საქმის არსთან დაკავშირებით.

პლენუმი გაიხსნა მალენკოვის გამოსვლით, მაგრამ ამან არ მისცა სამსჯავროს საჭირო ტონი — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გამოვიდა უგულოდ, დუნედ და, ალბათ, ამიტომ არქივში მისი სიტყვის სტენოგრამა არ არის. რედაქტირებული და ანტიბერიულად გაძლიერებული ტექსტიც კი მისი სიტყვისა არ ახდენს შთაბეჭდილებას: ყველაზე ძლიერი გამონათქვამი, რაც მალენკოვმა გამოძებნა ბერიასათვის, ესაა — „ავანტიურისტი“.

ასე რომ სამდღიანი მოქმედების ნამდვილი ათვლის წერტილი, სისტემური თვალსაზრისით, გახდა ხრუშჩოვის გამოსვლა.

თავის სიტყვაში ხრუშჩოვმა ტონი მისცა პლენუმის მთელ „მუშაობას“. უკვე შესავალ ნაწილში მან გასაგებად განაცხადა, რომ არავის არ უნდა ვერიდებოდეთ არც გამონათქვამების ძებნაში, არც განსჯაში — მთავარია, ისინი მიმართული იყოს ბერიას მისამართით.

და ხრუშჩოვს ყველამ გაუგო... იმის შესახებ კი, თუ ვინ იბრძოდა ეფექტიანად კონტრრევოლუციის წინააღმდეგ 20-30-იან წლებში, ვინ არ დაიშურა ძალა და ენერგია საბჭოთა ამიერკავკასიის განვითარებისათვის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გარდაქმნისათვის, იმის შესახებ, ვინ იკისრა უზარმაზარი პასუხისმგებლობა ურანისა და სარაკეტო პრობლემებისათვის, სტალინის სიკვდილის შემდეგ კი ვინ გამოიჩინა თავი ყველაზე აქტიურ, ინიციატივიან და ეპოქის არსში წვდომის უნარის მქონე სახელმწიფო ლიდერად, პლენუმზე არა თუ არ თქმულა ერთი კეთილი სიტყვა, მინიმალურად ობიექტური სიტყვაც კი...

თუმცა არა, მოლოტოვმა ასე თქვა:

„... მან შეასრულა დიდი სამუშაო, ის ნიჭიერად მუშაობდა მთელი რიგი სამეურნეო ღონისძიების ორგანიზაციაში..“, მაგრამ იქვე დაუმატა: „... მაგრამ, მომისმინეთ, ჩვენ ხომ მავნებლებსაც ვიყენებთ, ვაიძულებთ, მათ იმუშაონ“...

სხვათა შორის, ოფიციალურ ანგარიშში პლენუმის შესახებ მოლოტოვის სიტყვის ეს ნაწილი გამოიყურება უფრო პოლიტკორექტულად:

„არ შეიძლება მისი ორგანიზაციული უნარის უარყოფაც, რაც გამოვლინდა მთელი რიგი სამეურნეო ღონისძიების ორგანიზაციასა და განხორციელებაში...“

ხრუშჩოვის სიტყვა კამერტონი გახდა და მისი მიხედვით გამოდიოდა ყველა დანარჩენი. უფრო დაბალი დონის ხელმძღვანელი ამხანაგების გამოსვლების შეუთანხმებელი ტონალობა საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ისინი ხრუშჩოვის ცენტრალური კომიტეტის აპარატში ვერ აღჭურვეს შესაბამისი თეზისებით... ანდა შეიძლებოდა პლენუმის დაწყებამდე სამ დღეში ყველაფრის მოსწრება?!

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრების მალენკოვის, ხრუშჩოვისა და მოლოტოვის გარდა პლენუმზე გამოვიდნენ ბულგანინი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, ვოროშილოვი... გავა ოთხი წელი და ყველა მათგანი (აგრეთვე პერვუხინი და საბუროვიძ, მიქოიანის და, ბუნებრივია, ხრუშჩოვის გამოკლებით, გამოვა ხრუშჩოვის ვოლუნტარიზმის წინააღმდეგ და უმალვე მიიღებენ „ანტიპარტიული ჯგუფის“ იარლიყს და ხრუშჩოვი ნომენკლატურის დახმარებით მოაწყობს ახალ სახელმწიფო გადატრიალებას, გაუსწორდება ყოფილ კოლეგებს, მაგრამ ამჯერად — მათი ფიზიკური ლიკვიდაციის გარეშე. ცოცხალი ბერია სახიფათო იყო, თუნდაც ჩამოგდებული — იგი პიროვნება იყო. აი, დანარჩენები კი...

ზოგიერთს გადააყენებენ, ზოგს მკვეთრად ჩამოაქვეითებენ, ბაგიროვს კი დაიჭერენ და დახვრეტენ.

არავითარი სენსაციური მაკომპრომეტირებული დოკუმენტი პლენუმზე არ გამოცხადებულა. არც ერთი! ფუჭი ბრალდებები კი თავზე საყრელად იყო. არადა ეს ხომ ფაქტობრივად ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის ფაქტობრივი სასამართლო იყო. აი, თავად ბრალდებული კი არ იყო.

მაგრამ ისმება კითხვა, რატომ? რატომ არ მიიყვანეს ბერია პლენუმზე? თითქოსდა, როგორც ახლა ამბობენ ხოლმე, „დაჭერილი“ იყო. შსს-ში ახალი ხელმძღვანელობაა, მან დაადასტურა „ცენტრალური კომიტეტის ერთგულება“. არმია ფეხზე დგას და ხრუშჩოვისეული ცეკას მხარესაა. ბერიას გათავისუფლებას არავინ ცდილობს. მაშ, რატომ არ წარუდგენენ ყველასაგან გაკიცხულ „ავანტიურისტს“, „ინტრიგანსა“ და „არამზადას“ პარტიული პლენუმის „გამჭოლ მზერას“, რათა საბოლოოდ და შეუქცევადად დარწმუნებულიყვნენ ასეთი მკაცრი და მოულოდნელი ზომების სამართლიანობაში, არსებითად, სახელმწიფოს მეორე პირის მიმართ?

პასუხი ცხადია: დარბაზში შეკრებილნი, უწინარეს ყოვლისა ცეკას პრეზიდიუმის წევრები, ასე თუ ისე, იცნობდნენ ბერიას ერთად მუშაობით და სულის სიღრმეში არ შეეძლოთ, არ ეღიარებინათ, რომ ყველა მათგანი მუშაობისა და კრიზისული სიტუაციის შეფასების დონით ბერიაზე დაბლა იდგა. და თუ იგი „ცოცხალი“ აღმოჩნდებოდა „საბრალდებო სკამზე“, ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდებოდა! და სულაც არ არის გამორიცხული, რომ ამ სკამზე გადაბარგებულიყო პრეზიდიუმიდან რომელიმე.

თავად ხრუშჩოვის გამოსვლაც ხომ ისეთი არათანმიმდევრული, არეულ-დარეული და უსაგნოდ ცრუ იყო, რომ ბერიას არაფრით გაუჭირდებოდა ხრუშჩოვის ბრალდებათა უარყოფა, აგრეთვე — ყველა სხვა „ბრალმდებლისა“. პლენუმის მონაწილეებს შორის კი იყვნენ არა მხოლოდ პარტოკრატები, არამედ საქმის ხალხიც.

ამიტომაც ხრუშჩოვმა თუმცა თავის სიტყვაში თუ პირდაპირ ხარს არ წაავლო ხელი რქებში, ვირები მაინც დაიჭირა ყურებით. პირველივე სიტყვებით მან განსაზღვრა ბერია, როგორც „ავანტიურისტი“ და „დიდი ინტრიგანი“, ბრალი დასდო მას მუშაობაში მუსავატისტების სასარგებლოდ, შემდეგ განაცხადა: „მოხერხებულობა, თავხედობა, კადნიერება — ეს ბერიას ძირითადი თვისებებია“. შემდეგ კი წავიდა და წავიდა...

როდესაც წიგნის ავტორი სერგეი კრემლიოვი ააშკარავებს ათასგვარ სიცრუეს ბერიას „სასიყვარულო რომანების“ შესახებ, ერთგან წერს:

„იდეურად მტკიცე პარტიელებისა“ და „დემოკრატებისაგან“ განსხვავებით, მე სულაც არ მაინტერესებს ბერიას „სქესობრივი ცხოვრება“. და რომ დავამთავრო იგი ჩემს წიგნში, მოვიყვან ამონარიდს თ.ქორიძის მეტად საინტერესო სტატიიდან, რომელიც გამოქვეყნდა თბილისის გაზეთ „7 დღის“ 1990 წლის 28 ივლისის ნომერში და გადაიბეჭდა კიევის გაზეთ „24 საათის“ 1990 წლის ნომერში.

სტატიას ეწოდება „მე არასოდეს ვერეოდი ლავრენტის საქმეებში“... და წარმოადგენს 86 წლის ნინო ბერია-გეგეჭკორის საუბრის ჩანაწერს. ის მაშინ ცხოვრობდა


ლავრენტი ბერია მეუღლესთან — ნინო გეგეჭკორთან ერთად შვებულებისას.

„დიდი ქალაქის გარეუბანში დნეპრის პირას, მწვანე ქუჩაზე, ჩვეულებრივ „ხრუშჩოვკაში“...

ეს არის, ჩემი აზრით, დიდი ძალისა და დიდი დამაჯერებლობის ისტორიული დოკუმენტი. ნინო ბერიამ 86 წლის ასაკშიც შეინარჩუნა, როგორც თ.ქორიძე წერს, ძველი სილამაზის კვალი, მეხსიერებისა და აზროვნების სიცხადე. ის, რის შესახებაც იგი ყვებოდა, განეკუთვნება „ბერიას ქალების“ მითოლოგიურ თემას მხოლოდ ნაწილობრივ, თუმცა ქვემოთ მოვიყვან ვრცელ ციტატას ამ სტატიიდან — მასალა ამად ღირს!

„ერთი წელი ვიცხოვრეთ ბაქოში, შემდეგ დავბრუნდით თბილისში... გვიჭირდა. დრო იყო ისეთი — ადამიანურად ცხოვრება სამარცხვინო იყო, ვებრძოდით სიმდიდრეს.

31 წელს ლავრენტი დანიშნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. მანამდე ამ პოსტზე მუშაობდა ქართველიშვილი, რომელმაც ერთ თანამდებობის პირს ცოლი წაართვა. თუმცა, შემდეგ, როდესაც ქართველიშვილი მოხსნეს, ის სხვა კაცთან წავიდა.

ლავრენტი სულ საქმით იყო დაკავებული. ოჯახისთვის დრო თითქმის აღარ რჩებოდა. ძალიან ბევრს მუშაობდა. ახლა ადვილია კრიტიკა, მაგრამ მაშინ მართლა მიდიოდა ბრძოლა. საბჭოთა ხელისუფლებას უნდა გაემარჯვა. ხომ გახსოვთ, რას წერდა სტალინი სოციალიზმის მტრებზე? ეს მტრები მართლა არსებობდნენ... სტალინს უნდოდა შეექმნა დიდი და ძლიერი სახელმწიფო, და იმან ეს გააკეთა...“

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 155-161.

## კალათბურთი

# „ჯვაროსნები“ არ ხუმრობენ



**კალათბურთის სტაჟიან გულშემატკივრებს კარგად გემახსოვრებათ, როგორ უჭირდათ თბილისის „დინამოს“ სახელოვან თაობებსაც კი ბალტიისპირეთში გამარჯვების მოპოვება. სპორტის ეს პოპულარული სახეობა აღნიშნულ რეგიონში დღესაც საკულტოდ ითვლება, რასაც ოლიმპიურ პეკინში ლიტველთა მიერ ნახევარფინალში გასვლა მოწმობს.**

ასეთ ფონზე ღირსეულად გამოიყურება ის წარმატება, რომლითაც რიგაში დასრულებულ ოთხთა საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გაგვახარა. კიდევ უფრო საამაყოა დასკვნით ტურში მასპინძელ ლატვიელთა ძლევა — 80:72, რამაც პირველი — მესამე ადგილების გაყოფის საშუალება მოგვცა. დასანანი მხოლოდ ისაა, რომ სასტარტო მატჩში ფრანგებთან ჩაფლავებულმა დასკვნითმა პერიოდმა და დიდი ანგარიშით დამარცხებამ ლატვიელთა და „სამფეროვანთა“ გასწრების შანსი მოგვისპო. შედეგად ჩვენი გუნდი თანაბარი ქულების შემთხვევაში ბურთების უარესმა სხვაობამ დაალალატა და საბოლოოდ მესამე ადგილზე დავრჩით.

რაც შეეხება „ჯვაროსანთა“ მონაგარს, მასპინძელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ბიჭებმა ქულათა შემდეგ რაოდენობას მოუყარეს თავი: **ვლადიმერ ბოისა — 18, ფაჩულია, გამყრელიძე — 14-14, ელისი — 10, ცქიტიშვილი — 9, ცინცაძე, სანიკიძე, ანატოლი ბოისა — 5-5 ქულა.**

დავძენთ, რომ ხორვატი მწვრთნელის იგორ კოკოშკოვის შეგირდები ორი ამხანაგური შეხვედრის გასამართავად უკვე ავსტრიაში იმყოფებიან.

## ჩემპიონთა ლიგა

# ქეცბაიამ ნამუსი მოგვწმინდა

**ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე პირველად გაალწიეს დანიის „ოლბორგმა“, ბელორუსიის „ბატემ“ და, რაც ყველაზე უფრო სასიხარულოა, კვიპროსის „ანორთოსისმა“, რომელსაც თემურ ქეცბაია წვრთნის. ვულოცავთ ჩვენს თანამემამულეს აღნიშნულ წარმატებას და, ვიმედოვნებთ, მისი წყალი ოდესმე რომელიმე ქართულ კლუბსაც გადაესხმება.**

**გაუწყებთ საკვალიფიკაციო რაუნდის სრულ შედეგებს:** „პეტრჟალკა“ — **„იუვენტუსი“** 1:1 (0:4ძ, **„პანათინაიკოსი“** — „სპარტა“ 1:0 (2:1ძ, „ვისლა“ — **„ბარსელონა“** 1:0 (0:4ძ, **ბატე** —„ლევსკი“ 1:1 (1:0ძ, „კაუნასი“ — **„ოლბორგი“** 0:2 (0:2ძ, **„დინამო“** (კიევიძ — „სპარტაკი“ 4:1 (4:1ძ, **„ბაზელი“** —„გიმარაეში“ 2:1 (0:0ძ, **„სტიაუა“** —„გალათასარაი“ 1:0 (2:2ძ, **„ატლეტიკო“** — „შალკე“ 4:0 (0:1ძ, **„ფენერბახჩე“** — „პარტიზანი“ 2:1 (2:2ძ, „დინამო“ (ზაგრებიძ — **„შახტარი“** 1:3 (0:2ძ, **„მარსელი“** — „ბრანი“ 2:1 (1:0ძ, **„არსენალი“** — „ტვენტე“ 4:0 (2:0ძ, „ოლიმპიაკოსი“ — **„ანორთოსისი“** 1:0 (0:3ძ, „სლავია“ — **„ფიორენტინა“** 0:0 (0:2ძ, **„ლივერპული“** — „სტანდარტი“ 1:0 (დამატებით დროში, 0:0ძ.

* * *

**ელიტური საზოგადოება ჯგუფური ტურნირის მატჩებს 16-17 სექტემბრიდან 9-10 დეკემბრამდე გამართავს. რაც შეეხება დამდეგი ბატალიების მონაწილეებს, ისინი მონაკოში მოწყობილი კენჭისყრის შედეგად ასე გადანაწილდნენ:**

**„ა“ ჯგუფი** — „ჩელსი“, „რომა“, „ბორდო“, „კლუჟი“.

**„ბ“ ჯგუფი** — „ინტერი“, „ვერდერი“, „პანათინაიკოსი“, „ანორთოსისი“.



**„გ“ ჯგუფი** — „ბარსელონა“, „სპორტინგი“, „ბაზელი“, „შახტარი“.

**„დ“ ჯგუფი** — „ლივერპული“, „ეინდჰოვენი“, „მარსელი“, „ატლეტიკო“.

**„ე“ ჯგუფი** — „მანჩესტერი“, „ვილიარეალი“, „სელტიკი“, „ოლბორგი“.

**„ვ“ ჯგუფი** — „ლიონი“, „ბაიერნი“, „სტიაუა“, „ფიორენტინა“.

**„ზ“ ჯგუფი** — „არსენალი“, „პორტუ“, „ფენერბახჩე“, „დინამო“ (კიევიძ.

**„თ“ ჯგუფი** — „რეალი“, „იუვენტუსი“, „ზენიტი“, ბატე.

## უეფას თასი

# ნახვამდის, ევროპა!

**ევროპის პოპულარული საკლუბო ტურნირები უკანასკნელმა ქართულმა მოჯიკანმაც დატოვა — როგორც მოსალოდნელი იყო, უეფას თასის გათამაშებას თბილისის „ვიტ ჯორჯია“ გამოეთიშა. საამისოდ საფუძველი მაშინ მომზადდა, როცა ვენის „აუსტრიასთან“ ორრაუნდიანი დუელის ნაცვლად ჩვენს ქვეყანაში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამო უეფამ ერთადერთი მატჩი ავსტრიაში დანიშნა. ვეტერინართა შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, მასპინძლებმა 2:0 მოიგეს შეხვედრა (ჰატენბერგი, ოკოტიეძ და შემდეგ წრეშიც ისინი ითამაშებენ.**

**გთავაზობთ მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის სრულ შედეგებს: „ნაპოლი“** — „ვლაჟნია“ 5:0 (3:0ძ, **„ასტონ ვილა“** — „ჰაფნარფიორდური“ 1:1 (4:1ძ, **„სენტ პატრიკსი“** — „ელფსბორგი“ 2:1 (2:2ძ, „ჰაიდუკი — **„დეპორტივო“** 0:2 (0:0ძ, **„რენი“** — „სტაბეკი“ 2:0 (1:2ძ, „დიორი“ — **„შტუტგარტი“** 1:4 (1:2ძ, „ცრვენა ზვეზდა“ — **„აპოელი“** 3:3 (დამატებით დროში, 2:2ძ, **„ბელინცონა“** — „დნიპრო“ 2:1 (2:3ძ, „გრასხოპერსი“ — **„ლეხი“** 0:0 (0:6ძ, „დებრეცენი“ — **„იანგ ბოიზი“** 2:3 (1:4ძ, **„ბეშიქთაში“** — „შიროკი ბრიეგი“ 4:0 (2:1ძ, **„ჟილინა“** — „ლიბერეცი“ 2:1 (2:1ძ, **„ვასლუი“** — „მეტალურგსი“ 3:1 (2:0ძ, „შტურმი“ — **„ციურიხი“** 1:1 (1:1 პენალტებით — 2:4ძ, **„ბრონდბიუ“** — „ჰაკა“ 2:0 (4:0ძ, **„რუსენბორგი“** — „იურგორდენი“ 5:0 (1:2ძ, **„ომონია“** — აეკი 2:2 (1:0ძ, „ლილესტრიომი“ — **„კოპენჰაგენი“** 2:4 (1:3ძ, **„კალმარი“** — „გენტი“ 4:0 (1:2ძ, **„ჩერნო მორე“** — „მაკაბი“ 2:0 (1:1ძ, „ვიკინგი“ — **„ჰონკა“** 1:2 (0:0ძ, **„სლავენი“** — „არისი“ 2:0 (0:1ძ, **„ზალცბურგი“** — „სუდუვა“ 0:1 (4:1ძ, **„ჰერტა“** — „ინტერბლოკი“ 1:0 (2:0ძ, „ზრინსკი“ — **„ბრაგა“** 0:2 (0:1ძ, **„ჰაპოელი“** — „ვოივოდინა“ 3:0 (0:0ძ, „კირიათი“ — **„ლიტექსი“** 1:2 (0:0ძ, „მიდტიულანდი“ — **„სიტი“** 0:1 (1:0, პენალტებით — 2:4ძ, **„მოსკოვი“** — „ლეგია“ 2:0 (2:1ძ.

## ფეხბურთი

# სეზონის ზღურბლთან

**რუს ოკუპანტთა თარეშმა კარგა გვარიანად არია საფეხბურთო სეზონის რამსები. მიუხედავად ყველაფრისა, ორიოდე კვირაში მაინც დაიწყება რვათვიანი მარათონი, რომელიც არაერთი თავისებურებით იქნება გამორჩეული.**

**მათგან უპირველესი გუნდების რაოდენობის შემცირება გახლავთ. კენტი რიცხვის გამო ყოველ ტურში თითო კლუბი დაისვენებს.**

**ყურადღებას, ალბათ, შეხვედრების სუსხიან ზამთარში დანიშვნასაც მიაქცევთ, რაც ისევ და ისევ ჩრდილოელთა აგრესიის შედეგია — თუ არ ვცდებით, აქამდე მატჩები 21 დეკემბერს ჯერ არ გამართულა.**

**არა უშავს, ყველაფერს მოევლება, ოღონდ მთავარია ქვეყანას ეშველოს.**

**მე-20 ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგისა და თასის გათამაშების კალენდარი:**

**I წრე**

**I ტური**

**2008 წელი, 13 სექტემბერი**

მგლები (ზუგდიდიძ — სიონი (ბოლნისიძ, ბორჯომი (ბორჯომიძ — ვიტ ჯორჯია (თბილისიძ, ლოკომოტივი (თბილისიძ — მესხეთი (ახალციხეძ.

**14 სექტემბერი**

ოლიმპი (რუსთავიძ — ზესტაფონი (ზესტაფონიძ, გაგრა (გაგრაძ — დინამო (თბილისიძ, სპარტაკი (ცხინვალიძ ისვენებს.

**16-17 სექტემბერი**

**თასის 1/8 ფინალი, განმეორებით მატჩები**

**II ტური**

**20 სექტემბერი**

მგლები — ბორჯომი, ვიტ ჯორჯია — გაგრა

**21 სექტემბერი**

მესხეთი — ოლიმპი, სიონი — ზესტაფონი, დინამო — სპარტაკი, ლოკომოტივი ისვენებს.

**III ტური**

**26 სექტემბერი**

ბორჯომი — სიონი, გაგრა — მგლები, ზესტაფონი — მესხეთი.

**27 სექტემბერი**

ლოკომოტივი — დინამო, სპარტაკი — ვიტ ჯორჯია, ოლიმპი ისვენებს.

**IV ტური**

**30 სექტემბერი**

ბორჯომი — გაგრა, სიონი — მესხეთი.

**1 ოქტომბერი**

მგლები — სპარტაკი, ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი, დინამო — ოლიმპი, ზესტაფონი ისვენებს.

**V ტური**

**4 ოქტომბერი**

გაგრა — სიონი.

**5 ოქტომბერი**

სპარტაკი — ბორჯომი, ზესტაფონი — დინამო, ლოკომოტივი — მგლები, ოლიმპი — ვიტ ჯორჯია, მესხეთი ისვენებს.

**VI ტური**

**18 ოქტომბერი**

ბორჯომი — ლოკომოტივი, გაგრა — სპარტაკი, მგლები — ოლიმპი, დინამო — მესხეთი, ვიტ ჯორჯია — ზესტაფონი, სიონი ისვენებს.

**VII ტური**

**22 ოქტომბერი**

სპარტაკი — სიონი, ლოკომოტივი — გაგრა, ოლიმპი — ბორჯომი, ზესტაფონი — მგლები, მესხეთი — ვიტ ჯორჯია, დინამო ისვენებს

**VIII ტური**

**26 ოქტომბერი**

გაგრა — ოლიმპი, მგლები — მესხეთი, ბორჯომი — ზესტაფონი, სპარტაკი — ლოკომოტივი, სიონი — დინამო, ვიტ ჯორჯია ისვენებს.

**IX ტური**

**1 ნოემბერი**

ზესტაფონი — გაგრა, მესხეთი — ბორჯომი, დინამო — ვიტ ჯორჯია, ოლიმპი — სპარტაკი, ლოკომოტივი — სიონი, მგლები ისვენებს.

**4 ნოემბერი**

**თასის 1/4 ფინალის პირველი მატჩები**

**X ტური**

**7 ნოემბერი**

გაგრა — მესხეთი.

**8 ნოემბერი**

ლოკომოტივი — ოლიმპი, სიონი — ვიტ ჯორჯია, სპარტაკი — ზესტაფონი, მგლები — დინამო-ბორჯომი ისვენებს.

**XI ტური**

**12 ნოემბერი**

დინამო — ბორჯომი, ვიტ ჯორჯია — მგლები, ოლიმპი — სიონი, ზესტაფონი — ლოკომოტივი, მესხეთი — სპარტაკი, გაგრა ისვენებს.

**II წრე**

**XII ტური**

**16 ნოემბერი**

ვიტ ჯორჯია — ბორჯომი, სიონი — მგლები, მესხეთი — ლოკომოტივი, დინამო — გაგრა, ზესტაფონი — ოლიმპი, სპარტაკი ისვენებს.

**XIII ტური**

**21 ნოემბერი**

ბორჯომი — მგლები, სპარტაკი — დინამო ზესტაფონი — სიონი, ოლიმპი — მესხეთი, გაგრა — ვიტ ჯორჯია, ლოკომოტივი ისვენებს.

**26 ნოემბერი**

**თასის 1/4 ფინალის განმეორებითი მატჩები**

**XIV ტური**

**29 ნოემბერი**

მგლები — გაგრა

**30 ნოემბერი**

სიონი — ბორჯომი, ვიტ ჯორჯია — სპარტაკი, დინამო — ლოკომოტივი, მესხეთი — ზესტაფონი, ოლიმპი ისვენებს.

**XV ტური**

**5 დეკემბერი**

გაგრა — ბორჯომი, სპარტაკი — მგლები, მესხეთი — სიონი.

**6 დეკემბერი**

ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია, ოლიმპი — დინამო, ზესტაფონი ისვენებს.

**XVI ტური**

**9 დეკემბერი**

ბორჯომი — სპარტაკი, სიონი — გაგრა.

**10 დეკემბერი**

დინამო — ზესტაფონი, მგლები — ლოკომოტივი, ვიტ ჯორჯია — ოლიმპი, მესხეთი ისვენებს.



**XVII ტური**

**13 დეკემბერი**

სპარტაკი — გაგრა

**14 დეკემბერი**

ოლიმპი — მგლები, ლოკომოტივი — ბორჯომი, ზესტაფონი — ვიტ ჯორჯია, მესხეთი — დინამო სიონი ისვენებს.

**XVIII ტური**

**20 დეკემბერი**

გაგრა — ლოკომოტივი, ბორჯომი — ოლიმპი

**21 დეკემბერი**

სიონი — სპარტაკი, მგლები — ზესტაფონი, ვიტ ჯორჯია — მესხეთი, დინამო ისვენებს.

**XIX ტური**

**2009 წ. 14 თებერვალი**

ოლიმპი — გაგრა, მესხეთი — მგლები, ლოკომოტივი — სპარტაკი.

**15 თებერვალი**

დინამო — სიონი, ზესტაფონი — ბორჯომი, ვიტ ჯორჯია ისვენებს.

**XX ტური**

**21 თებერვალი**

ბორჯომი — მესხეთი, გაგრა — ზესტაფონი.

**22 თებერვალი**

ვიტ ჯორჯია — დინამო, სპარტაკი — ოლიმპი, სიონი — ლოკომოტივი, მგლები ისვენებს.

**XXI ტური**

**28 თებერვალი**

ვიტ ჯორჯია — სიონი, ოლიმპი — ლოკომოტივი, ზესტაფონი — სპარტაკი.

**1 მარტი**

მესხეთი — გაგრა, დინამო — მგლები, ბორჯომი ისვენებს.

**XXII ტური**

**6 მარტი**

სპარტაკი — მესხეთი, მგლები — ვიტ ჯორჯია, ბორჯომი — დინამო.

**7 მარტი**

ლოკომოტივი — ზესტაფონი, სიონი — ოლიმპი, გაგრა ისვენებს.

**III წრე**

**XXIII ტური**

**10 მარტი**

ბორჯომი — ვიტ ჯორჯია, გაგრა — დინამო.

**11 მარტი**

ოლიმპი — ზესტაფონი, მგლები — სიონი, ლოკომოტივი — მესხეთი, სპარტაკი ისვენებს.

**XXIV ტური**

**14 მარტი**

დინამო — სპარტაკი, ვიტ ჯორჯია — გაგრა.

**15 მარტი**

სიონი — ზესტაფონი, მესხეთი — ოლიმპი, მგლები — ბორჯომი, ლოკომოტივი ისვენებს.

**XXV ტური**

**21 მარტი**

ბორჯომი — სიონი, გაგრა — მგლები, ლოკომოტივი — დინამო.

**22 მარტი**

ზესტაფონი — მესხეთი, სპარტაკი — ვიტ ჯორჯია, ოლიმპი ისვენებს.

**XXVI ტური**

**4 აპრილი**

მგლები — სპარტაკი, ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი.

**5 აპრილი**

დინამო — ოლიმპი, ბორჯომი — გაგრა, სიონი — მესხეთი, ზესტაფონი ისვენებს.

**XXVII ტური**

**10 აპრილი**

ოლიმპი — ვიტ ჯორჯია, ზესტაფონი — დინამო, ლოკომოტივი — მგლები, გაგრა — სიონი.

**11 აპრილი**

სპარტაკი — ბორჯომი, მესხეთი ისვენებს.

**14 აპრილი**

**თასის 1/2 ფინალის პირველი მატჩები**

**XXVIII ტური**

**17 აპრილი**

ბორჯომი — ლოკომოტივი, გაგრა — სპარტაკი.

**18 აპრილი**

მგლები — ოლიმპი, დინამო — მესხეთი, ვიტ ჯორჯია — ზესტაფონი, სიონი ისვენებს.

**XXIX ტური**

**24 აპრილი**

სპარტაკი — სიონი, ლოკომოტივი — გაგრა.

**25 აპრილი**

ოლიმპი — ბორჯომი, ზესტაფონი — მგლები, მესხეთი — ვიტ ჯორჯია, დინამო ისვენებს.

**29 აპრილი**

**თასის 1/2 ფინალის განმეორებითი მატჩები**

**XXX ტური**

**2 მაისი**

მგლები — მესხეთი, სპარტაკი — ლოკომოტივი.

**3 მაისი**

სიონი — დინამო, გაგრა — ოლიმპი, ბორჯომი — ზესტაფონი, ვიტ ჯორჯია ისვენებს.

**XXXI ტური**

**9 მაისი**

ლოკომოტივი — სიონი, მესხეთი — ბორჯომი.

**10 მაისი**

ზესტაფონი — გაგრა, დინამო — ვიტ ჯორჯია, ოლიმპი — სპარტაკი, მგლები ისვენებს.

**XXXII ტური**

**17 მაისი**

სიონი — ვიტ ჯორჯია, მგლები — დინამო, ლოკომოტივი — ოლიმპი, გაგრა — მესხეთი, სპარტაკი — ზესტაფონი, ბორჯომი ისვენებს.

**XXXIII ტური**

**23 მაისი**

ოლიმპი — სიონი, ზესტაფონი — ლოკომოტივი, მესხეთი — სპარტაკი, ვიტ ჯორჯია — მგლები, დინამო — ბორჯომი, გაგრა ისვენებს.

**28 მაისი**

**საქართველოს თასის ფინალი.**

პოეზია

## ნოდარ ჯალაღონია



### ვიბრძოლებთ და ვიდავითებთ

თუმცა მრავალმა ქარცეცხლმა და წლებმა გადაგვიარა,
უმეფოდ გაძლო სამშობლომ, ურუსთაველოდ კი – არა.

თუმცა ლამაზი მთა-ბარი ბევრია ივერთ მხარეში,
მაგრამ სამშობლო ვინა თქვა დიდგორის ველის გარეშე.

აღარ ექნება ხომ ფასი არც შვილობას და დედობას,
თუ დაივიწყებს სამშობლო ქეთევანს – დედა-დედოფალს.

ველარ ვიქნებით ვერასდროს ამაყები და თამამი,
თუ არ იქნება ხსენება დავითისა და თამარის.

აღარ იქნება მამულში არც რწმენა, არც სამართალი,
თუ არ იქნება ხსენება დიდი ილია მართალის.

აღარ სჭირდება არავის ყალბი სიტყვა და შექება,
თუ დავივიწყეთ წარსული, არც მომავალი გვექნება.

ისიც ხომ ცხადზე ცხადია, სადავო სულაც არ არი,
თუ არ ვახსენებთ წინაპრებს, არც ჩვენ გვახსენებს არავინ.

რადგან წინაპართ სახელი გვაერთიანებს, გვამთელებს,
ისევ იმათი სახელით ვიცოცხლებთ და ვიქართველებთ.

რადგან იმათი სისხლ-გენი მოგვყვება ჩვენ იმთავითვე,
ისევე მათი სახელით ვიბრძოლებთ და ვიდავითებთ.

### სამშობლოა ისევე აქ დარჩენის იმედი

დაბადებისთანავე თუ საფლავიც ითხრება,
მოსვლა ამ ქვეყანაზე აღარ ღირდეს იქნება.

წუთისოფლის შემყურე, ლამის სულიც აყვირდეს,
სტუმრად მოსვლა ამქვეყნად, იქნებ მართლა არ ღირდეს.

მაგრამ წუთისოფელი განა ყველას იმეტებს,
სამშობლოა ისევე აქ დარჩენის იმედი.

სამშობლოა ისევე, ვინც კი ახდენს არჩევანს,
ქართველი ხომ მარტოდენ სიკვდილისთვის არ ჩნდება.

რადგანაც გვაქვს დიდგორი, მარაბდა და ასპინძა,
წუთისოფლის სტუმრები უნდა ვიქცეთ მასპინძლად.

უნდა ვიქცეთ სამშობლოს ხატებად და ძეგლებად,
ლეგენდებად, მითებად, სიმღერებად, ლექსებად.

რადგანაც ვართ ამ ქვეყნად, თითზე ჩამოსათვლელი,
ცის ნებაა ამქვეყნად დაბადება ქართველის.

ასე მჯერა, ასე მწამს, ზეცა ახდენს არჩევანს,
ღვთისმშობელი მფარველობს ქართველების გაჩენას.

და თუ მაინც ამქვეყნად სიკვდილი გვაქვს მისჯილი,
უნდა ჰგავდეს სიცოცხლეს სამშობლოსთვის სიკვდილი!

### თუ მამულს არ ეწირება

ყველაფერი მთავრდება თურმე რაც კი იწყება,
დედამიწა ბრუნავს და ყველაფერი იცვლება.

ყველას კარგად გვანახა ამ წლებმა თუ იმ წლებმა,
თაობა რომ იცვლება, ჩანს, ქვეყანაც იცვლება.

თუმც იგივე მიწა და იგივე ცა იყო,
წლებმა ბევრის სახელი ნაფოტივით წაიღო.

ისევ ხალხი მოახდენს არადანს და არჩევანს,
ხალხის ნების გარეშე არაფერი არ რჩება.

თუ ქვეყნისთვის არ იღვწის, ისევ დრო გვეუბნება,
ყველაფერი ფუჭია ტახტიც, ხელისუფლებაც.

ყველაფერი ფუჭია, ქრება და იძირება,
რაც საკუთარ ხალხსა და მამულს არ ეწირება.

### ხმალი და კალამი

უკვდავი და მარადია,
საქართველოს სვე და ბედი,
დავითის ხმალს რუსთაველის
კალამი რომ უდგას გვერდით.

მაგრამ ჭირი თავს არ მალავს
და ეშმაკის ხდება კერძი,
თუ ილიას აზრს და კალამს
შადიმანის ხმალი ებრძვის.

ეკარგება გზა და კვალი
ხმალს სიმტკიცის, კალამს სიბრძნის,
თუ სამშობლოს აღარ იცავს,
მამულისთვის თუ არ იბრძვის.

მაგრამ ის ვინც ერთგულია
და თავის ხალხს გვერდით უდგას,
მისი ხმალი და კალამიც
სამშობლოსთვის გაცვთეს უნდა.

ასე იყო ჩვენში ოდით, ამას ითხოვს ჟამი კვლავაც...
ქვეყნის ვალი ტვირთად ადევს
ქართულ ხმალს და ქართულ კალამს.

### მეუფე ანანია ჯაფარიძეს

გაუვლია გოლგოთის გზა იბერია-ივერიას,
საქართველოს მტერი იყო ყველა დროის იმპერია.

რადგან ქვეყნის მატიანე გულზე ხატად გიწერია
კარგად იცი, საქართველოს ვინ მოყვარე, ვინ მტერია.

ან რა მტერი შეედრება ერთმანეთის შურს და ღალატს,
განა მტერთან, საქართველოს შინა ომით დაიღალა.

ვაგლახ! მუდამ საქართველოს ეს შური და მტრობა ღუპავს
და ქართველთა ერთად ყოფნას შეჰღაღადებ მაღალ უფალს.

ჰყავდა მამულს, ორგულთ გარდა, ღვთის წყალობით და ღვთის ნებით,
თევდორეები, ცოტნეები, დავითები, გორგასლები.

და დღეს მისხალ-მისხალ წონი მათ ტკივილს და გულის დარდებს
და შენს ლოცვას მათ ჭრილობას მალამოდ და წამლად ადებ.

ეფერები ყველას, ვინც კი მოიხადა ქვეყნის ვალი,
სანთელივით წინ გინთია სახე წმინდა ქეთევანის.

გზად და ხიდად გადებული გესიზმრება ხშირად, ალბათ,
სამშობლოს გზებს შეწირული და მაშვრალი სულხან-საბა.

აღარ აკლებ ხოტბა-ქებას არაგველთა სამასს მხედარს,
და ცხრა შვილის გამზრდელ დედას მარაბდაზე ისევ ხედავ

თავს ევლები სვეტიცხოველს, ბეთანიას, ყინწვისს, გელათს,
დედასავით ეფერები ღვთივკურთხეულ ქართულ ენას.

ეფერები, ვინც ეტრატებს ოფლითა და სისხლით წერდა,
ის, ვინც ჯვარი ხმლით და კალმით საქართველოს უღელს სწევდა.

ეფერები ფოლიანტებს, გადარჩენილ სიგელ-გუჯარს,
საქართველო წლებსა და მტრებს მათი ნებით გადაურჩა.

რადგან ბევრი მტერ-მოყვარე დღესაც ავი თვალით გვიმზერს,
შენი ლოცვით და წიგნებით ქართულ სულს და გულს აფხიზლებ.

და იხსენებ დიდ წინაპრებს სიყვარულით, კრძალვით-რიდით,
ეს იმათი სისხლით, ბრძოლით გავიარეთ ბეწვის ხიდი.

ეს იმათი შექმნილია საქართველოს მატიანე
და გმირების უკვდავ სახელს დროშასავით აფრიალებ!



მშობლები თეიმურაზ, ეთერ, ძმები პაატა, ზურაბ ნაცვლიშვილები, რძალი ნინო სხირტლაძე, ძმისწული თეონა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მანანა ნაცვლიშვილი**

გამოსვენება შაბათს, 30 VIII, 14 სთ. ვაკის სამების ეკლესიიდან.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია გულწრფელად თანაუგრძნობს კოლეგას და მეგობარს პაატა ნაცვლიშვილს ძვირფასი დის
მანანა ნაცვლიშვილის
გარდაცვალების გამო.

რევაზ ყიფიანი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება შესანიშნავი ქართველი ინტელიგენტის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორის
გაბრიელ ნადარეიშვილის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

თბილისის პირველი საშუალო სკოლის თანაკლასელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება
გაბრიელ ნადარეიშვილი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ინფორმაცია

## აღდგება აგრესორთა მიერ დანგრეული ეკლესიები

**საქართველოს კულტურის სამინისტრო საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანებული ძეგლების მონიტორინგს იწყებს.**

**მინისტრი ნიკა ვაჩეიშვილი გორში გაემგზავრა და რუსული აგრესიის შედეგად დაზიანებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები დაათვალიერა.**

ვაჩეიშვილმა გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, გორის მიმდებარე და ატენის ხეობის სოფლებში არსებული ძეგლები მოინახულა.

როგორც კულტურის სამინისტროდან იტყობინებიან, დაიწყება საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანებული ძეგლების დოკუმენტაციის მომზადება. განისაზღვრება დაზიანების ფორმა და ხარისხი; იმ ძეგლებისთვის კი, რომლებიც აღდგენას ექვემდებარება, შესასრულებელი სამუშაოების გეგმა შედგება.

## ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია



**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ რუსი ჯარისკაცის სატელეფონო ჩანაწერი გაავრცელა.**

ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ჯარისკაცი რუსეთში მეუღლეს ესაუბრება და საქართველოში ნაქურდალი აპარატურის მოხმარების წესს უხსნის, თან ნაქურდალის გაყიდვის დეტალებს უთანხმებს.

ისინი ფაქსის აპარატზეც საუბრობენ, თუმცა ჯარისკაცს ფაქსის აპარატი ჯერ სავარძლის დეტალი, მერე კი, მობილური აპარატი ჰგონია.

რუსი ოკუპანტები, სამხედრო ბაზების გარდა, სამთავრობო, კერძო ოფისებსა და მოსახლეობასაც ძარცვავენ.

ინტერპრესნიუსი

შპს „სმარტ გრუპი" აცხადებს ტენდერს, ქალაქ ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა №12-ში მდებარე შენობის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის მიზნით. დაინტერესებულ კომპანიებს, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაგვიკავშირდით 2008 წლის 2 სექტემბრამდე 18 საათსა და 00 წუთამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ტ. ტაბიძის ქუჩა №106, პირველი სართული.

ტელეფონი: 877-27-72-26.

ელ-მისამართი: ketevan@bsindustry.ge

კომპანიების მხრიდან წინადადებების მიღება მოხდება 2008 წლის 9 სექტემბრამდე 15 საათსა და 00 წუთამდე, ხოლო გამარჯვებული კომპანია გამოვლინდება 2008 წლის 11 სექტემბერს 15 საათსა და 00 წუთს.

**გამოფენა**



# პრაღის ცხელი აგვისტო თბილისში

ორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების ნილაბაფარებულმა საბჭოთა ოკუპანტებმა ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში სისხლის კალო დაატრიალეს. მიზეზი ერთი იყო – ჭკუა ესწავლებინათ ჩეხი ხალხისთვის, რომელიც თავის ლიდერთან დუბჩეკთან ერთად რეფორმების გზას დაადგა, რათა ტოტალური კომუნისტური რეჟიმი მცირედ მაინც „გადაესხვაფერებინა“.

სწორედ ამ ტრაგიკული დღეების მოსახსენიებლად თბილისში, ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზში, მოეწყო ფოტოგამოფენა, რომელიც და საქართველოში ჩეხეთის კონსულმა გახსნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო პროფესიონალი და მოყვარული ფოტოგრაფების 61 ნამუშევარი, რომლებზეც ნათლად იყო ასახული პრაღის ცხელი აგვისტოს დღეები.

გამოფენას დაესწრო ამ დღეებში საქართველოში სტუმრად მყოფი ჩეხეთის ელჩი. შთაბეჭდილებათა წიგნში უამრავი ჩანაწერი გაჩნდა – პრაღის ტრაგედიის 40 წლისთავს ხომ საქართველოს ცხელი აგვისტოს მოვლენებიც დაემთხვა. ნათლად გამოჩნდა, რომ ოკუპანტები, საუკუნეც რომ გავიდეს, სახეს არ იცვლიან. გამოფენა 5 სექტემბრამდე გაგრძელდება

**ელგუჯა ნადარეიშვილი,**
ავტორის ფოტო.




**ოკეანის გაღმიდან**

# იან პშიბილი: გისურვებთ, მალე განთავისუფლდეთ!

**იან პშიბილი ჩეხი ინჟინერია, ქალაქ ოსტრავადან. შვიდი წელია, ამერიკაშია. ერთი წელი ჩვენს აპარტამენტში ცხოვრობდა. წყნარი, თავაზიანი კაცია. გატაცებულია ისტორიით და გეოგრაფიით. ხშირად მეკითხებოდა საქართველოს შესახებ. ძალიან მოეწონა ქართული ანბანი, ერთ ხანს შესწავლაც დაიწყო. შემდეგ თავის უფროსთან კონფლიქტი მოუვიდა. კონტრაქტორი მისი თანამემამულეა, ქალაქ ბრნოდან, მაგრამ კონფლიქტის ჩაქრობა ვერ მოხერხდა. იანი გულნატკენი გაერიდა აქაურობას.**

**ამიტომ მისმა ზარმა ჩრდილო კაროლინიდან ძლიერ გამახარა.**

– ძალიან შეწუხებული ვარ იმით, რაც საქართველოში ხდება, – მითხრა იანმა, – ინტერნეტით სისტემატიურად ვადევნებ თვალს, რა ხდება მსოფლიოში.

უნდა გითხრათ, რომ ეს აგრესია მოსალოდნელი იყო, რადგან რუსები ნელ-ნელა, მეთოდურად ამზადებდნენ პროვოკაციებს, რათა ომში ჩაეთრიეთ. ისე, ნუ გეწყინებათ, და თქვენი ქვეყნის ხელმძღვანელობას თავი უნდა შეეკავებინა, რადგან თქვენი მხრიდან გახსნილი საპასუხო ცეცხლი რუსებმა კარგად გამოიყენეს ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციისთვის. ეს ომი რუსებს სხვების დასაშინებლადაც სჭირდებოდა, – თუ ჭკვიანად არ იქნებით, თქვენც იგივე მოგელითო.

ღმერთო ჩემო! რამდენი უბედურება მოუტანა რუსის საოკუპაციო ჯარმა თქვენს ხალხს! დაიხოცნენ ადამიანები, განადგურდა ინფრასტრუქტურა; დაიბომბა არა მარტო სამხედრო ობიექტები, არამედ ქალაქები და სოფლები, მშვიდობიანი მოსახლეობა.

ნეტავ, ვის ტვინში ჩაისახა მსოფლიოში ცნობილი კურორტის, – ბორჯომის მიდამოებში უნიკალური ტყის გადაბუგვა ცეცხლგამჩენი ბომბებით.



ასეთ რამეს ფაშისტებიც არ აკეთებდნენ.

მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებს კარლოვი-ვარი არ დაუბომბავთ!

ყველაფერი, რაც საქართველოში მოხდა, დიდი უბედურებაა, მაგრამ მე მგონია, თავად რუსეთმაც ძალიან დიდი ზარალი ნახა – მორალური!

საქართველოს მთელი მსოფლიო დაეხმარება! ჩემმა ქვეყანამ საქართველოს ერთი მილიონი ევრო გამოუყო. საქართველო აღსდგება, მაგრამ რუსეთი ვერასოდეს ვერ აღიდგენს შელანძღულ ავტორიტეტს; იგი ვერასოდეს ჩამოირეცხავს სისხლიან ლაქას, რომელიც იმ ქვეყნის სახელს მოეცხო. მთელმა მსოფლიომ დაინახა რუსეთის ნამდვილი სახე. რუსეთმა სამუდამოდ დაიმკვიდრა სისხლიანი ჟანდარმის სახელი.

დღეს იმიტომ დაგირეკე, რომ ორმოცი წლის წინათ, ზუსტად ამ დღეს, რუსებმა ჩემი ქვეყნის ოკუპაცია მოახდინეს.

მაშინ ბევრი სისხლი დაიღვარა, ბევრი ცრემლიც გვადინეს, მაგრამ მადლობა ღმერთს, ჩემმა ქვეყანამ სამუდამოდ მოიშორა რუსის უღელი.

გისურვებთ, რომ თქვენც მალე განთავისუფლდეთ რუსის ჩექმისგან, რომლის სიმწარე ჩემს ქვეყანას დღემდე ახსოვს...

**ჯუმბერ ჯიშკარიანი,**
ფლორიდა, აშშ.

**SIC!**

# მითი ორი რუსეთის შესახებ საბოლოოდ გაქრა

**ჯერ კიდევ აფხაზეთის კონფლიქტის დროს რუსების ჯარების აფხაზთა მხარეს დგომას მაშინდელი ხელისუფლება ასეთ ახსნას უძებნიდა – აგრესიული სამხედრო და პოლიტიკური ელიტაა, თორემ არის რუსული საზოგადოების დიდი ნაწილი, მეორე რუსეთი, რომელიც ქართველებთან კონფრონტაციის დიდი მოწინააღმდეგეა. მაგრამ რაც უფრო გადიოდა დრო, „მეორე რუსეთის“ მომხრეთა რაოდენობა ნელ-ნელა მცირდებოდა. სუსტდებოდა მათი ხმაც.**

### მორიგი დაჯილდოება

იმ დროს, როდესაც რუსეთის 58-ე საოკუპაციო არმია ცხინვალში სამხრეთიდან შედიოდა, ქართველი მეომრები თავს დაესხნენ არმიის შტაბზე (გაძლიერებული 135-ე ბატალიონი). ოკუპანტები დაიბნენ. ზოგიერთმა მაღალჩინოსანმა, მათ შორის არმიის სარდალმა ხრულიოვმა გაქცევა სცადეს, რა დროსაც ფეხში დაიჭრა. ამჟამად იგი ვლადიკავკაზის საავადმყოფოში მკურნალობს.

რუსულმა ჯარებმა გაშლა ვერ მოასწრეს. ამის გამო მოუწიათ ხელდახელ ბრძოლა. შეტაკების დროს სხვებთან ერთად დაიღუპა მაიორი დენის ვიტჩინოვი. 15 აგვისტოს რფ-ს პრეზიდენტმა მედვედევმა კრემლში თავად გადასცა გარდაცვლილის ოჯახის წევრებს ჯილდო და ფასიანი საჩუქრები. ოჯახს პრეზიდენტის ფონდიდან დაენიშნა სპეციალური პენსია.

რუსული პრესის ინფორმაციით, რომელიც თანამემამულე სამხედრო მოსამსახურეთა გამონათქვამებს ეყრდნობა, ვეტჩინოვი კარგა ხნით ადრე იყო დასაჯილდოებელი. მას ცხინვალსა და მის შემოგარენში არაერთხელ მიუღია მონაწილეობა მძიმე საბრძოლო ოპერაციებში.

### რიგითი რუსები ხელისუფლებას თანაუგრძნობენ

როგორც ირკვევა, რუსეთის პროპაგანდისტულმა მანქანამ, მართალია, კარგად ვერ იმუშავა დასავლეთში, მან ვერ შესძლო არგუმენტირებულად გაემართლებინა თავისი აგრესია მეზობელი პატარა სახელმწიფოს მიმართ, მაგრამ რუსულმა იდეოლოგიამ წარმატებით იმუშავა რუს ხალხში, რფ-ს მოქალაქეებში.

არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებმა რუსეთის მთელ ტერიტორიაზე ჩაატარეს გამოკითხვა. მის ორგანიზატორებს აინტერესებდათ, რამდენად მისაღებად თვლიდნენ მოქალაქეები თავიანთ ხელისუფლების მოქმედებებს საქართველოში.

გამოკითხულთა 40 პროცენტი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების ქმედებები გამართლებული და მისასალმებელია. 23 პროცენტი მომხდარსაც არ მიიჩნევს საკმარისად და ხელისუფლებისაგან ზომების გამკაცრებას ელის. მხოლოდ 7 პროცენტი თვლის, რომ ასეთი სისასტიკე საჭირო არ არის. ნულია მაჩვენებელი მათი, ვინც დაგმობდა აგრესიულ პოლიტიკას. გამოკითხვა სხვა თემებზეც ჩატარდა. პირველ რიგში ხელისუფლებისა და სამხედროების ავტორიტეტზე. უცხოელების გასაკვირად, რესპონდენტთა 65 პროცენტი თვლის, რომ საქართველოში ჩატარებული სადამსჯელო ოპერაციების შემდეგ საგრძნობლად ამაღლდა როგორც მედვედევის, ასევე სამხედრო ძალების რეიტინგი.

ცალკე თემად იყო გამოყოფილი პრეზიდენტ მედვედევისადმი ნდობის საკითხი. გამოკითხულთა 73 პროცენტს საკუთარი პრეზიდენტისადმი უდიდესი მოწიწებისა და პატივისცემის გრძნობა გააჩნია.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ რფ-ს პრეზიდენტი მართლაც იმას აკეთებს, რაც ერს უნდა.

ამ გამოკითხვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აზრი ორი რუსეთის არსებობის შესახებ მითია. ხელისუფლებას ის უნდა, რაც ხალხს და – პირიქით.

**ზაზა ბილიხოძე**

**გეპატიჟებით!**

**1 და 2-ოთახიან ლუქსებში, ზემო წყნეთში (რუსთაველის №35), ახალ სასტუმრო „ჟურნალისტში“, რომელიც მდებარეობს ტყის პირას. ყველა ოთახს აქვს ღია ვერანდა, ტელევიზორი, მაცივარი, ცივი და ცხელი წყალი. ტელეფონი: 22-15-83, 51-42-92, 45-31-37, 22-82-92, 899 77-28-54, 36-84-13.**



**კადრი**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.